# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 2 აგვისტო, 2012 წელი.

№146 (7022)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## საპარლამენტო არჩევნები პირველ ოქტომბერს გაიმართება

საპარლამენტო არჩევნები 2012 წლის პირველ ოქტომბერს ჩატარდება, სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ.

მისი თქმით, პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ოქტომბრის არჩევნები კიდევ ერთი დასტური იქნება ქართული დემოკრატიის სიმწიფის და სიცოცხლისუნარიანობის.

საქართველოს პრეზიდენტი მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის განვითარების ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში.

## ქართული ტურიზმის ნაციონალური ბრწყინვალება და ეროვნული სიღატაკე

7

## „ენ-დი-აი“ სხვას რომ ამტკიცებდა?



### PENN SCHOEN BERLAND (PSB)-ის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა

პენ შონ ბერლანდი (PSBძ მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი მარკეტინგული კვლევების კომპანიაა, რომელსაც მუშაობის გამოცდილება აქვს 100-ზე მეტ ქვეყანაში. დაარსებიდან 30 წლის შემდეგ პენ შონ ბერლანდს (PSBძ ნამუშევარი აქვს ისეთ უმსხვილეს კომპანიებთან, როგორიცაა მაიკროსოფთი, ინტელი და ფორდ მოტორსი (Microsoft, Intel and Ford Motorsძ. რაც შეეხება პოლიტიკის სფეროს, პენ შონ ბერლანდის (PSBძ დახმარებით არჩეული იყო სახელმწიფოს 30-მდე მეთაური, მათ შორის აშშ პრეზიდენტი ბილ კლინტონი, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი და იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი. პენ შონ ბერლანდი (PSBძ აგრეთვე იყო ქალაქ ნიუ-იორკის მერის მაიკლ ბლუმბერგისა და შეერთებული შტატების სენატორის ჰილარი კლინტონის მთავარი მრჩეველი.

8

## „იმასაც ვნახავთ, რაფერ გაკეთდება!“

### პრეზიდენტის მოულოდნელი სტუმრობა ურეკში და სხვა ამბები



5

## ხუხაშვილისა და ხმალაძის დაფუძნებული კვლევითი ინსტიტუტის ანგარიშები დაყადაღებულია

4

## ბიძინა ივანიშვილი — მთავრობის წინააღმდეგ

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ფანჯიკიძის განმარტებით, ბიძინა ივანიშვილის დაცვა საერთაშორისო იურიდიულმა კომპანია „სკადენმა“ ითავა, რომლის ვაშინგტონისა და ლონდონის ოფისების წარმომადგენლები საქართველოში 16 და 17 ივლისს იმყოფებოდნენ.

ფანჯიკიძის განცხადებით, ივანიშვილის უფლებების დასაცავად შეირჩა საერთაშორისო სასამართლო ინსტიტუტი – მსოფლიო ბანკთან არსებული საინვესტიციო დავების განხილვის საერთაშორისო ცენტრი, რომელიც ვაშინგტონშია. ამ სასამართლოს დებულების შესაბამისად, „სკადენმა“ ივანიშვილის სახელით მოამზადა იურიდიული დოკუმენტი „უკანასკნელი შეტყობინება დავის შესახებ“. ფანჯიკიძის განცხადებით, ეს დოკუმენტი არის ბიძინა ივანიშვილისა და საქართველოს მთავრობას შორის დავის დაწყების საფუძველი.

როგორც ფანჯიკიძემ განაცხადა, 31 ივლისს ეს შეტყობინება ჩაბარდა საქართველოს პრეზიდენტსა და იუსტიციის სამინისტროს. შეტყობინების ტექსტის ქართული თარგმანი ბიძინა ივანიშვილის „ფეისბუქის“ გვერდზე განთავსდება. პროცედურის შესაბამისად, საქართველოს მთავრობას მიეცა 14 დღე, რათა მან აღიაროს ჩადენილი უკანონობა და მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით შეთანხმებას მიაღწიოს ბიძინა ივანიშვილის სამართლებრივ მრჩევლებთან. ამ ვადის უშედეგოდ ამოწურვის შემთხვევაში საინვესტიციო დავათა განხილვის ცენტრს დაუყოვნებლივ წარედგინება საჩივარი-მოთხოვნა არბიტრაჟის დაწყების შესახებ, რის შემდეგაც დავას საერთაშორისოდ აღიარებული ავტორიტეტული სამართალმცოდნეები განიხილავენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა არჩილ კბილაშვილმა, რომელიც ამ საქმეში ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს საერთაშორისო იურიდიულ ფირმასთან ერთად იცავს. კბილაშვილის თქმით, ყველა ის საინვესტიციო უფლება, რომელიც შეილახა გასული წლის ოქტომბრიდან, აღნუსხულია და ცენტრს განსახილველად წარედგინება. კბილაშვილმა წარმოადგინა იმ დარღვევათა ჩამონათვალი, რომელიც საინვესტიციო კუთხით გასული წლის ოქტომბრიდან დაფიქსირდა. კბილაშვილის განცხადებით, ეს არის „ბანკ ქართუსთან“ დაკავშირებით უკანონო ქმედებები, მათ შორის კანონის შეცვლა, რომლის საფუძველზე „ბანკმა ქართუმ“ 119 მილიონი ლარის ზარალი ნახა.

– კანონის შეცვლა შეეხებოდა იპოთეკისა და გირავნობით უზრუნველყოფილი ქონებების გაუფასურებას. ეს შეეხებოდა, ასევე, ბანკის უკანონო დაჯარიმებას, თითქოსდა იმ ბონუსებს, რომელიც მან თანამშრომლებზე გასცა პოლიტიკური მოტივაციის გამო, – განაცხადა კბილაშვილმა.

მისივე თქმით, ეს ასევე შეეხება იმ უკანონო რეიდს, რომელიც შს სამინისტრომ მოაწყო 2011 წლის ოქტომბერში, როდესაც ფულის გათეთრების ბრალდებით საინკასაციო მანქანა იქნა დაკავებული. ასევე, ეს შეეხება ძალოვანი სტრუქტურების ზეწოლით ბანკიდან კლიენტების გადინებას. კბილაშვილის განცხადებით, 2011 წლის ოქტომბრის ბოლოს, აღნიშნულის გამო ბანკიდან 45 მილიონი ლარი გაედინა. ასევე, დავა ეხება ყადაღას, რომელიც „პროგრესბანკში“ ბიძინა ივანიშვილის წილს დაედო.

კბილაშვილის განმარტებით ეს დარღვევების ნუსხა ასახული იყო ამ შეტყობინებაში, რომელიც მთავრობას გაეგზავნა. კბილაშვილის განმარტებით, იმ ზარალს, რომელიც თანხობრივად ბიძინა ივანიშვილს მიადგა, პროცენტი დაერიცხება და ხელისუფლების მხრიდან ანაზღაურებას დაექვემდებარება არა მხოლოდ უშუალოდ ის ზიანი, რაც მიადგა, არამედ ამ თანხებზე დარიცხული პროცენტი, რომელიც ბანკთაშორის საერთაშორისო ბირჟის მონაცემებით გაირკვევა.

**რაც შეეხება ჯარიმის სახით ივანიშვილის მიერ გადახდილ 80 მლნ ლარს, კბილაშვილის განმარტებით, ეს დავათა ნუსხაში არ შედის, რადგან ივანიშვილმა ეს თანხა არა ჯარიმის სახით, არამედ სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად გადაიხადა.**

ეგრე არ არის თაყაო...

# მელას რაც ელანდებოდა...

## საჩხერემ „ნაციონალების“ ჯავრი წიკლაურზე იყარა

**„თქვენ თუ გჯერათ, რასაც ამბობთ, მე თქვენი არ მჯერა“! – ასეთი პირდაპირობით „შეეგება“ საჩხერის სოფელ კორბოულის მკვიდრი როსტომ ტალახაძე ნაციონალების ერთ-ერთ ლიდერს ნუგზარ წიკლაურს, რომელიც ამ სოფელს ჩიორა თაქთაქიშვილთან ერთად სტუმრობდა.**

**კორბოულის მკვიდრმა ნუგზარ წიკლაურს შეკითხვა სამჯერ გაუმეორა: ვაჟკაცურად, რასაც თქვენ ახლა ამბობთ, ეგ გწამთ, მერე? გავიდა რვა წელიწადი უკვე... კარგი რა...**

**ნუგზარ წიკლაურის პასუხიც „ადეკვატური“ იყო: „მე რასაც ვამბობ, ყველაფერი მწამს, ასე მგონია... ეტყობა, თქვენ სხვანაირი რწმენა გაქვთ, ამიტომ ჩემი და თქვენი ლაპარაკი არ გამოვა“, – ამ სიტყვებთან ერთად წიკლაური შებრუნდა და იმ ადამიანებისკენ გადაინაცვლა (კერძოდ, საჩხერის გამგებლისკენ), „ვისაც სწამდა ამ ქვეყნის მომავლის და, ვისაც არ სწამდა პუტინთან ერთად ქვეყნის აშენების“.**

**ჩვენთვის უცნობია, ბიძინა ივანიშვილის მშობლიურ საჩხერეში იპოვა თუ არა ნუგზარ წილაურმა თანამოაზრე, მაგრამ უბრალო საჩხერელი კაცი – როსტომ ტალახაძე, ალბათ, გაოგნებული დარჩა, როცა იგი ლამის, პუტინთან ალიანსში დაადანაშაულეს.**

ხმაურიანი ინციდენტი ამით არ ამოწურულა, კორბოულის მოსახლეობამ პარლამენტარის სხვა შეგონებებიც მოისმინა, რომ თურმე, საჩხერის მთელ რიგ სოფლებში მოსახლეობა უკმაყოფილოა, რადგან „ქართული ოცნების“ სახით, რუსული პოლიტიკური ძალა მოქმედებს, რომ ძალიან ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ საჩხერის რაიონში არსებული სიტუაცია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდაა მიმართული, გავრცელებული წარმოდგენა იმის თაობაზე, თითქოს ერთი ქველმოქმედის გამო საჩხერის რაიონი დანარჩენი რაიონებისაგან უკეთეს მდგომარეობაში იყო, მხოლოდ მითია.

სამაგიეროდ, როსტომ ტალახაძემ პარლამენტის წევრს ის პრობლემები ჩამოუთვალა, რომლებიც სოფელში ამ დრომდე მოუგვარებელი რჩება: **საწვავის მაღალი ფასი, მიუწვდომელი ჯანდაცვის სისტემა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.**

რეალურად, რა ხდება საჩხერეში? რატომ სტუმრობენ ნაციონალები მაინცდამაინც სოფელ კორბოულს და რატომ ითვლება ეს სოფელი არჩევნებისთვის გარდამტეხად?!

For.ge-ს რესპუბლიკური პარტიის საჩხერის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ინგა ზამბახიძე ესაუბრა.

– საჩხერე მთლიანად „ქართული ოცნების“ მომხრე და, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერია. ნუგზარ წიკლაურის საჩხერეში ჩასვლა აბსოლუტური პროვოკაციაა. სადაც კი მიდიან „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, ლამის ყველა სოფელში მათ საცემრად იწევენ. წიკლაურის მხრიდან ასეთი რამის გამეორება და იმის დაჯერება, თითქოს საჩხერის სოფლებში მოსახლეობა უკმაყოფილოა იმის გამო, რომ „ქართული ოცნების“ სახით რუსული პოლიტიკური ძალა მოქმედებს, ეს დაუშვებელია.

განა შეიძლება, რომ საჩხერეში „ქართული ოცნების“ გარდა, ვინმეს მხარს უჭერდნენ? ძალიან მძიმედ მიმდინარეობს ნაციონალებისთვის წინასაარჩევნო კამპანია, ძალიან რთულ ფონზე და სირცხვილია, როცა ასეთი რამის უფლებას აძლევენ საკუთარ თავს. „ქართული ოცნების“ მაჟორიტაროზის კანდიდატი, ქალბატონი მანანა კობახიძე წარმატებულად ახორციელებს წინასაარჩევნო კამპანიას და ყველა სოფელში მას ოვაციებით ხვდებიან.

**– ზოგადად, საჩხერლების განწყობა ცნობილია, მაგრამ სამეგრელოს მსგავსად, საჩხერეში შიშის ფაქტორი არ არსებობს? გამგებლის ან ადგილობრივი მოხელეების არ ეშინიათ?**

– საჩხერლებს არავისი ეშინიათ. იქ ისეთი განწყობაა, რომ მოსახლეობას არავის შიში არ აქვს.

**– ამ დღეებში გავრცელდა საჩხერის გამგებლის ზურაბ ცერცვაძის ნათქვამი, სადაც მან შუალედური განწყობა გამოხატა და აღნიშნა, – მე, როგორც ნაციონალების, ისე „ქართული ოცნების“ მომხრეების გამგებელი ვარო. რა ხდება საჩხერის გამგეობაში?**

– იცით, რა არის? ახლა ჭკუა უხმარია, რადგან უთქვამს, მთლიანად მოსახლეობის გამგებელი ვარო. ზურაბ ცერცვაძეს უკვე განცხადება აქვს დაწერილი და იგი უკვე მაჟორიტარობის კანდიდატია, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კი სხვა გახლავთ. თუ კიდევ უფრო მეტად მოვა აზრზე და მიხვდება, რომ „ქართული ოცნებისკენ“ უნდა იყოს ნებისმიერი ქართველი და საჩხერელი, უფრო კარგს იზამს. სხვათა შორის, საჩხერეში გარკვეული ფაქტები იყო, როცა პატრულსა და მოსახლეობას შორის დაპირისპირება გინების ფონზე მოხდა. მაშინ ადმინისტრაციული ჯარიმა შეეფარდათ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს. ისეთი განწყობაა საჩხერეში, რომ განსაკუთრებული ზეწოლა და დიდი დაპირისპირება მათზე არ ხდება. უბრალოდ, ხალხს აღიზიანებს, რომ საჩხერეში, მოსახლეობაში დადიან ნაციონალების მხარდამჭერები და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ითხოვენ, ნაციონალებს მიეცით ხმაო. ეს იქაურებს აღიზიანებთ და ამბობენ, რომ თავის დროზე 5-10 კაცი საკუთარი სურვილით გავიდა ნაციონალებთან შესახვედრად და მკვეთრ შეკითხვებსაც უსვამდა გამგებელს.

ლამის გააგდეს რამდენიმე სოფლიდან, მოსახლეობა ნამდვილად არ ხვდება ნაციონალების მაჟორიტარ კანდიდატს. ეს გასაგებიცაა, მათ კანდიდატურას როგორ უნდა შეხვდე საჩხერელი კაცი?! ის 5-10 კაცი იმიტომ დახვდა ნაციონალების კანდიდატს, რომ ისინი ამხილეს, არაფერი გაგიკეთებიათ ამდენი ხნის მანძილზე და უფლება არ გაქვთ, სოფლებში მოხვიდეთ და ხალხთან შეხვედრა მოითხოვოთო. ამის გამო შეხვდნენ და არა იმისთვის, რომ გული გადაუშალეს.

**– ნუგზარ წიკლაურმა აღნიშნა, თუ ვინმეს ჰგონია, რომ საჩხერეში არსებული სიტუაცია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ არის, ეს აზრი რეალობისგან შორსააო...**

– სირცხვილი ნუგზარ წიკლაურს. ჯერ საკუთარი ქართველობის უნდა რცხვენოდეს და შემდეგ იმის, საჩხერეში რომ ჩადის. მით უფრო, ასეთი განცხადების შემდეგ. რაც შეეხება წიკლაურის ნათქვამს – თითქოს, ერთი ქველმოქმედის გამო საჩხერის რაიონი, დანარჩენი რაიონებისგან განსხვავებით, უკეთეს მდგომარეობაში არ ყოფილა და ეს მითია - ვაცხადებ, ის ერთი ქველმოქმედი რომ არ ყოფილიყო, საჩხერე დღეს დაცლილი, დანგრეული იქნებოდა. იქნებოდა ისეთი, როგორიც დარჩა მიწისძვრის შემდეგ და არავის უზრუნია საჩხერეზე. საჩხერე დაცლას, შიმშილსა და სიკვდილს ბიძინა ივანიშვილმა გადაარჩინა. სხვა რაიონებთან შედარებით, საჩხერე ნამდვილად იყო უკეთეს მდგომარეობაში. სულ რომ არაფერი გაეკეთებინა ქველმოქმედს, იქაური საავადმყოფო რომ უფასოა და ძვირადღირებული ოპერაციებით ამდენი ადამიანის სიცოცხლე იხსნა, ესეც ეყოფოდა. საჩხერე ერთადერთი რაიონია საქართველოში, სადაც შობადობა ყველაზე მაღალია. საჩხერეში ყველა აჩენს შვილს და ემიგრაციაში კი არ მიდიან, არამედ უკან ბრუნდებიან. იქაური მოსახლეობის რაოდენობა ორჯერ გაიზარდა, ლამის, ყველა დაბრუნდა, ახალგაზრდების ჩათვლით. ყველა დასაქმებულია და საჩხერე ნამდვილად ყვავის, სხვა საქართველოსთან შედარებით.

**– თავად სოფელ კორბოულში რა ხდება, რომლის მკვიდრიცაა როსტომ ტალახაძე?**

– კორბოული არის ძალიან დიდი სოფელი და მოსახლეობის მხრივ, ქალაქ საჩხერის შემდეგ, მეორე ადგილზეა. ამიტომ სტრატეგიული დანიშნულებისაა. საერთოდ, მთავრობისა და ნაციონალების გეგმა ყოველთვის ასეთი იყო, ვინც იგებს კორბოულს, ის იგებს საჩხერეს, ამიტომაც ახლა განსაკუთრებული ზეწოლა აქვთ კორბოულზე. ბიძინა ივანიშვილზე ცუდი რომ თქვას ვინმემ საჩხერეში, აპატიებენ?! მათ შორის, კორბოულში, სადაც ახალთახალი სკოლები, ამბულატორია ააშენა.

**– როსტომ ტალახაძის ასეთი თამამი განცხადებები იმის საფუძველი ხომ არ გახდება, რომ მას საკუთარ რაიონში პრობლემები შეექმნება?**

– ვერავის ვეღარ შეუქნიან პრობლემებს, რადგან ყველა საჩხერელი „ქართული ოცნების“ მომხრეა და მთელ საჩხერეს ვერ გაასახლებენ. აღარ არის ისეთი განუკითხაობა, ვინმემ ხმა არ ამოიღოს.

**მარიამ ლოლაშვილი**







ინფორმაცია

## „ქართულმა ოცნებამ“ „თელასიდან“ თანამშრომლების დათხოვნა გააპროტესტა

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის აქტივისტებმა კომპანია „თელასთან“ საპროტესტო აქცია-ბრიფინგი გამართეს და კომპანიიდან კვალიფიციური თანამშრომლების დათხოვნა გააპროტესტეს.**

**როგორც აქცია-ბრიფინგზე კოალიცია „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ფაცაციამ განაცხადა, მას შემდეგ, რაც „თელასში“ დირექტორად შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი ზურაბ არსოშვილი დაინიშნა, „თელასიდან“ 100 კვალიფიციური თანამშრომელი გაათავისუფლეს, ხოლო ვაკანტურ ადგილებზე მისი ახლობლები, ოჯახის წევრები და „ნაციონალური მოძრაობის“ „კუნთმაგარი“ კადრები დაინიშნენ.**

**როგორც ფაცაციამ აქცია-ბრიფინგზე განაცხადა, ზურაბ არსოშვილი არა ქართველი ხალხის, არამედ რუსების ინტერესებს ატარებს, რადგან „თელასი“ რუსებს ეკუთვნით. მისი თქმით, როგორც ზურაბ არსოშვილი, ასევე ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის ინტერესების გამტარებელია.**

## საგარეო უწყებამ კორექტირება შეიტანა

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების პროცედურაში კორექტირება შეიტანა. საკითხი საზღვარგარეთ საცხოვრებელი ადგილიდან ცნობას ეხება, რომლის წარდგენის ვალდებულება სამინისტრომ გასულ თვეს შემოიღო.**

**კერძოდ, მანამდე, საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების განსახორციელებლად წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ განცხადება-ანკეტა, თანმხლები უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში მოქმედი პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი და 3 ფოტოსურათი.**

**არასამთავრობო სექტორის პროტესტის შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტრომ დამატებითი ცვლილებები განახორციელა და დაადგინა, რომ ადგილსამყოფელი ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასეთი ცნობის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება, პირმა წარადგინოს სხვა ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც პირის საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია დადასტურდება.**

ინტერპრესნიუსი

ვითარება

# რაც მოგივა, დავითაო...

## ანუ კაკი ბოზოხიძე „გადააგდეს“?

**აკაკი ბოზოხიძეს ნაციონალები „გადაგდებას“ უპირებენ. პარლამენტის ქუთაისში გადატანის ყველაზე მხურვალე მხარდამჭერი და იდეის ავტორი, შესაძლოა, პარლამენტს მიღმა დარჩეს.**

**ეს თუ ასე მოხდა, მაშინ სწორედ ბობოხიძეზეა ნათქვამი: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.**

აქამდე აკაკი ბოზოხიძე ღიად ამბობდა, რომ ხონის რაიონში კენჭისყრის სურვილი ჰქონდა. თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ ნაციონალები სწორედ მას წარადგენდნენ ხონში, მაგრამ მოულოდნელად ვითარება შეიცვალა. ხონში, შესაძლოა, ისევ ამჟამინდელი დეპუტატი დავით ჭავჭანიძე წარადგინონ.

აკაკი ბოზოხიძეს კი ეუბნებიან, რომ მის კანდიდატურას წყალტუბოში ან ბაღდათში დააყენებენ. სწორედ ამის გამოა, რომ ბოზოხიძე ისე ომახიანი და საკუთარ ძალებში თავდაჯერებული აღარ არის, როგორც აქამდე იყო.

ზედმეტი აქტიურობა დასჯადი რომ არის, წესით, ეს მრავალპარლამენტგამოვლილ ბოზოხიძეს უნდა სცოდნოდა. თუმცა, მას თავის გამოჩენა იმდენად სურდა, რომ არაფერზე უარს არ ამბობდა.

ამ პარლამენტში ბოზოხიძემ მოსახლეობას თავი იმით დაამახსოვრა, რომ ერთადერთი მუშტის ავტორია. მიკროფონთან მდგარ ოპოზიციონერ დეპუტატს პეტრე მამრაძეს მიეჭრა და სილა გააწნა. ეს ფაქტი მაშინ ბოზოხიძეს უმრავლესობის წევრებმა პირად საუბრებში მოუწონეს და ისიც უთხრეს, რომ ამას სათანადოდ დაუფასებდნენ.

აკაკი ბოზოხიძემ ჰიბრიდული მოსავლის მხარდასაჭერადაც გამოიდო თავი და კომიტეტის სხდომაზე დიდი და პატარა ზომის სიმინდებით მივიდა. მაშინ სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი იყო. მართალია ბოზოხიძემ მინისტრის მხარდასაჭერი სიტყვაც წარმოსთქვა, მაგრამ ამან ვერც ჰიბრიდულ მოსავალს და ვერც კვეზერელს ვეღარ უშველა.



აღარაფერს ვამბობთ პარლამენტის სხდომაზე ბოზოხიძის იმ ომახიან გამოსვლებზე, რომელთაც ის ოპოზიციონერი დეპუტატების ნერვების მოსაშლელად ხშირად მიმართავდა.

ბოზოხიძის „აქტივში“ ისიც არის, რომ როგორც გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ევროპას დედალ-მამალი მგლების გაგზავნა შესთავაზა, თუმცა ვერ განახორციელა.

ბოზოხიძეს ახლა აღარც ევროპისთვის, აღარც ფლორა-ფაუნის და მით უმეტეს აღარც მგლებისთვის არ სცალია. ის უფრო მნიშვნელოვანი საქმის გარკვევით არის დაკავებული - იქნება მაჟორიტარი თუ დარჩება „გადაგდებული“?

From.ge

განგაში

# ნუ დავემსგავსებით უპატრონო ეკლესიას, რომელსაც...

## ჩვენ ჩვენს ქალაქსა და ჩვენს კუთხეში ვართ(?!)

**სწორედ ასე ამბობენ თურქები დღევანდელ ბათუმზე. მდგომარეობა მართლაც მძიმეა. დღითი დღე ეს უფრო საგრძნობი ხდება. მოდიან, ეწერებიან ქალაქში, ყიდულობენ სახლებს და ეწევიან საზიზღარ პროპაგანდას ხალხში. ეს კეთდება ჩვენ თვალწინ, ჩვენივე დოყლაპიობისა და უნიათობის გამო!**



ამას წინათ ერთი თურქი, რომელიც დამტვრეულად ლაპარაკობდა ქართულად, მიმტკიცებდა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, რომ თურმე ჩვენ, ქართველი ისტორიკოსები, ვატყუებთ ბათუმელებს, როდესაც ვეუბნებით, რომ ბათუმი ქართული ქალაქია და რომ აქ ქართული სული სუფევს, „გაშტერებული“ ხალხი კი თურმე ამას იჯერებს. შემდეგ ეს უსინდისო პროვოკატორი მეუბნებოდა, რომ ბათუმს მალე ჩვენები (ე. ი. თურქები) დაეპატრონებიან და ყველა კი, ვინც სხვანაირად ფიქრობს, გასამართლდებიან.

ამ დემაგოგს საკადრისი პასუხი გავეცი და ავუხსენი, რომ თურქეთი, როგორც სახელმწიფო, ქართული და სხვა ქვეყნების მიწების იარაღის გზით დაპყრობის შემდეგ შეიქმნა, რომ თურქეთს მიტაცებული აქვს ჩვენი ისტორიული მიწა-წყალი და იქ მოსახლეობა ძალით გაამუსლიმანეს. შემდეგ ამ „ტვინგადაბრუნებულს“ დავუწყე მტკიცება იმაზე, თუ როგორ მიიტაცა თურქეთმა ბათუმი და როგორ გაათავისუფლა იგი ქართულმა და რუსულმა ჯარმა 1878 წელს. იცით, რა მითხრა? ასეთები ჩვენ არასდროს არ გაგვიგია, და თუ ეს ასე არის, მეც ხომ უნდა მცოდნოდა ესო. როდესაც ვუთხარი, შენ ეს როგორ გეცოდინებოდა, როდესაც პირიქით გიმტკიცებენ-მეთქი, ხელი ჩაიქნია.

ასე ფიქრობს ბათუმში მყოფი თურქების უმრავლესობა – ეს მიწა ჩვენია და ჩვენვე უნდა დაგვიბრუნდესო. ვამბობ, ამან სახიფათო ხასიათი მიიღო. და თუ აქამდე და, სამართლიანადაც, ქართველი ერის ძალისხმევა მიმართული იყო რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელმაც დაგვიპყრო და ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია მოახდინა, ახლა, ალბათ, მოსახლეობაში შესაძლებელია, თუ ასე გაგრძელდა, ანტითურქული განწყობილება შეიქმნას. ქართველი ერი ბოლომდე მომთმენია, განსაკუთრებით უცხოელების მიმართ და ამ მომთმენობამ დაგვაკარგვინა აფხაზეთი, სამაჩაბლო, შეცვალა დემოგრაფიული მდგომარეობა მესხეთ-ჯავახეთში და სახიფათო ზონაში შეიყვანა ბათუმი.

ისმის კითხვა, რა იყო ბათუმი, როდესაც ის თურქებს ჰქონდათ დაპყრობილი? არაფერი, ერთი უბადრუკი და უსიცოცხლო ქალაქი, სადაც ცხოვრება მკვდარი იყო. ამას ამბობს ყველა, ვინც იმ დროს ბათუმში იმყოფებოდა როგორც უცხოელი, ისე ქართველი. ქალაქში არ იყო არც ერთი მოსაწონი ნაგებობა. თურქები ქალაქს არ აშენებდნენ, იყო ბინძური ქუჩები, მოუწესრიგებელი ხის შენობები, არავითარი საქალაქო დაგეგმარება, მეჩეთებიც კი, რომლებიც ქალაქში აშენდა, ყოვლად უსახური და უგემოვნო იყო. თვით აზიზის მეჩეთიც, არქიტექტორული თვალსაზრისით უგემოვნო ნაგებობა გახლდათ, ასეთივე უსახური იყო ბათუმის პორტიც და სწორედ ამის გამო არ შემოდიოდნენ იქ გემები. ბათუმი თურქებს არც ანაღვლებდათ და არც აშენებდნენ იმიტომაც, რომ იქ ქართველები იყვნენ და მათ მთლიან გათურქებას ვერასდროს ვერ შეძლებდნენ.

როდის დაემსგავსა ბათუმი ქალაქს? ეს მოხდა მაშინ, როდესაც ბათუმი დაუბრუნდა დედასამშობლოს, როდესაც ქალაქს ქართული ხელი დაეტყო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ქართველმა ქალაქისთავებმა ლუკა ასათიანმა და ივანე ანდრონიკაშვილმა და იმათ გვერდში მყოფმა პატრიოტებმა შეძლეს შეუძლებელი და მიუხედავად ხელისშემშლელი პირობებისა, ბათუმი გადააქციეს ნამდვილ ქართულ ქალაქად. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ბათუმის თანამედროვე ქალაქად გადაქცევაში, აქ ევროპული ტიპის შენობების აშენებაში და ბათუმის, როგორც შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ მთავარ პორტად გადაქცევაში ლომის წილი მიუძღვით რუსებს, გერმანელებსა და ფრანგებს. ის დიდებული შენობები, რომლებიც დღეს ქალაქს ამშვენებს, მათი აშენებულია, ასევე ბათუმი შენდებოდა შემდეგ, საბჭოთა წლებშიც, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

დღეს თურქები იძახიან, რაც ბათუმში კეთდება, ეს ჩვენი ფულით კეთდება და, როგორ გგონიათ, ჩვენს გაკეთებულს სხვას დავუთმობთო? რა თქმა უნდა, გაკეთება კარგია და კიდევაც კეთდება, მაგრამ უმჯობესი იქნება, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან შემოვიდნენ ინვესტორები, რადგანაც დარწმუნებული ვარ არც ამერიკელს, არც ფრანგს და არც იტალიელს არასდროს თავში არ მოუვათ აზრად, რომ თქვან, ბათუმი ჩვენია და რადგან აქ ვაშენებთ, ამიტომ ჩვენ გვეკუთვნისო, აი, თურქებს კი ასეთი სახიფათო აზრები მოსდით თავში და იწყებენ შენიღბულ თუ ხშირად აშკარა აგიტაციას. ისე კი, უმჯობესია, ქართველმა ააშენოს, რაც შეიძლება მეტი. მიწები, რომლებსაც ერთ ლარად მიჰყიდიან თურქებს და ყოველმხრივ ხელს უწყობენ, არ სჯობია ქართველს მიჰყიდონ და ხელი შეუწყონ? კი, ბატონო, მობრძანდნენ, დაისვენონ თურქებმაც და სხვებმაც, მაგრამ არ ამტკიცონ, რომ ბათუმი ჩვენია და ჩვენ უნდა დავიბრუნოთო.

ზუსტი ციფრები არა მაქვს, თუ რამდენი თურქია ჩაწერილი ქალაქში, სხვადასხვა ციფრს ამბობენ და ხომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ისე გამრავლდნენ, რომ არჩევნებშიც მიიღონ მონაწილეობა და ქალაქის მერად ან სხვა დიდ თანამდებობაზე თურქი აირჩიონ? ყველაფერი შეიძლება.

სტუმარი მე ვიცი ისეთი, როდესაც მოვა და წავა, მაგრამ როდესაც სტუმრები შენს კუთვნილს გედავებიან, ასეთები კი ჩვენი ისტორიის მანძილზე საკმაოდ გვყოლია, ეს სახიფათოა.

არ შეიძლება ყველაფერზე თავის ქნევა, მორჩილება, შიში...

იმას ვერ ვიტყვი, რომ ეს მოსწონს ხალხს, ყველა უკმაყოფილოა, იმას გარდა რაც ზემოთ ვთქვი, ასევე იმაზეც, რომ ბათუმი და მისი შემოგარენი (განსაკუთრებით გონიო, სარფი) გადაიქცა გარყვნილების ბუნაგად, თურქებისათვის სექსმიდამოებად. გადმოდიან მასობრივად იქიდან, ერთობიან გარყვნილ ქართველ თუ სხვა ეროვნების ქალებთან. ეს, უმსგავსობა ხალხს არ მოსწონს, მაგრამ რატომღაც გაჩერებულები არიან, გაჩერება კი მონური ფსიქიკის ერთ-ერთი ნიშანია და ამით სარგებლობენ ისინიც.

**ერთი სიტყვით, მდგომარეობა დასაფიქრებელია და უნდა დაფიქრდეს ხალხი და ხელისუფლება, თორემ მერე თითზე კბენანი გვიან იქნება. ვიმეზობლოთ, როგორც მეზობლებს შეეფერება, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ არ მივცეთ არავის ნება, სახიფათო აზრები აფრქვიონ. ვიცი, ზოგიერთი იტყვის, არ გავანაწყენოთ, ჩვენი პარტნიორიაო. კი ბატონო, იყოს პარტნიორი, მაგრამ პარტნიორობა ერთია, აკრძალული აგიტაცია სხვა ქვეყნის ეროვნული ინტერესის შელახვისა, კი მეორე. თანაც, აბა, გაბედე და მსგავსი აგიტაცია ჩაატარე თურქეთში იქაურ მოსახლეობასთან, რომ ეს მიწა ქართულიაო, ხომ მიგაბრძანებენ დიდი ხნით ვირის აბანოში? თურქული კანონები მსგავს მოქმედებებს სასტიკად ებრძვის!**

**დავფიქრდეთ, ქართველებო, და ნუ ჩავიყენებთ თავს სახიფათო მდგომარეობაში.**

ოთარ გოგოლიშვილი,
პროფესორი, ბათუმი




ინფორმაცია

### პირველკლასელთათვის დამატებითი ონლაინ რეგისტრაცია იწყება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პირველკლასელთათვის დამატებით ონლაინ რეგისტრაციას აცხადებს .

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ვინც 2 აპრილიდან 17 ივნისამდე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დარეგისტრირება ვერ შეძლო, 2012 წლის 1-დან 17 აგვისტოს ჩათვლით შესაძლებლობა აქვთ, რეგისტრაცია გაიარონ სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე www.mes.gov.ge.

მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენა მშობლებს 20-დან 30 აგვისტოს ჩათვლით სკოლებში შეეძლებათ.

ინტერპრესი

SOS!

# „შენი მკვიდრი მიწა-წყალი ახატია სხვათა რუკებს“...



**„საქართველოს ხელისუფლებამ ძირძველი ქართული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი უმეტესად რუსეთის ფედერაციას, ასევე სხვა მეზობლებს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გადასცა“, — აცხადებს უფლებადამცველი დაჩი ცაგურია და საგარეო საქმეთა სამინისტროსგან ახსნა-განმარტებას მოითხოვს.**

**მისი თქმით, საქართველო-რუსეთის საზღვარზე მდგომარეობა დღესდღეობით სავალალოა — ქართველი მესაზღვრეები იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ მამისონის უღელტეხილის საკონტროლო პუნქტი და ოცი კილომეტრით ქვეყნის სიღრმეში უკან დაეხიათ; თუშეთში დიკლოს მთის მიმდებარე ტერიტორიაზე რუსეთმა საზღვარი თვითნებურად სამი კილომეტრით გადმოსწია და 24 კვ.კმ მიიტაცა. უფრო მეტიც, საქართველო-რუსეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე არსებული 44 გადასასვლელიდან 24-ს მთლიანად რუსეთი აკონტროლებს. დაკარგულია დარიალის ხეობის 850 მეტრი ოსეთის მონაკვეთზე, ლალვარის ქედის მონაკვეთი, მამისონის უღელტეხილი გადმოიწია 20 კილომეტრით, ლარსის მონაკვეთი — 1,5 კილომეტრით, დაკარგულია ჰუჯაბის მონასტრის ტერიტორია, სოფელ ყაჩალის მიდამოები, ბაბაყრისის ქედი, სოფელ ერის იმედის სასოფლო-სამეურნეო მიწები, წითელი ხიდის 400 ჰექტარი მონაკვეთი, მთა უდაბნო და გარეჯის მონაკვეთი.**

**დაჩი ცაგურიას თქმით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა განმარტოს საკითხები, რომლებიც 2004-2012 წლებში სხვადასხვა ადგილას საზღვრის გადმოწევას ეხება, რამაც ქართული მიწები სხვა სახელმწიფოებს გადაულოცა. მისი მტკიცებით, ხელისუფლება ვალდებულია, აუხსნას საკუთარ ხალხს, თუ რა მიზეზით დათმო ძირძველი ქართული მიწები, რომლებიც სადავოც არასდროს ყოფილა და რა კულუარულ გარიგებებს აწარმოებდა საქართველოს მოქალაქეების ზურგს უკან ამ თემაზე რუსეთის ხელისუფლებასთან.**

**For.ge დაჩი ცაგურიას ესაუბრა.**

**— ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე ქართველმა მესაზღვრეებმა უკან დაიხიეს?**

— ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ჩავიდეს ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში და ნახავს, რომ საზღვარი გადმოწეულია. ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლების დროს რუსებმა გვირაბამდე გადმოწიეს საზღვარი. გვირაბის ჩრდილოეთ მხარეს იდგნენ რუსები, ხოლო ქვემოთ დადგნენ ჩვენი მესაზღვრეები, რაც უკვე დარღვევა იყო, ვინაიდან თავის დროზე გვირაბის იქითა მხარესაც ჩვენ ვაკონტროლებდით. სააკაშვილის ხელისუფლების დროს კი გვირაბიდან კიდევ გადმოიწიეს ჩვენმა მესაზღვრეებმა, უკან დაიხიეს და დაახლოებით ორი კილომეტრის სიღრმეში შემოვიდნენ. ქსნის ხეობის გზა საიდანაც იწყება და ქსნის ხეობაში შესასვლელი საიდანაც არის, თითქმის იქამდე არიან.

ძალიან მიყვარს მთაში სიარული და, როდესაც იქ ჩავდივარ, მიხდება სასაზღვრო პუნქტის გავლა იმისთვის, რომ ქსნის ხეობაში მოვხვდე. ამ ორი კილომეტრის გადმოწევამ ძალიან ცუდი რამ გამოიწვია. გარდა იმისა, რომ ტერიტორია ტერიტორიად დაიკარგა, სტრატეგიული მნიშვნელობის იყო ის მონაკვეთი. მაგალითად, მყინვარის ჩრდილოეთი ფერდობიდან მყინვარზე ასასვლელი უკვე რუსების მიერ არის კონტროლირებადი და ჩვენ დავკარგეთ ამ ტერიტორიაზე კონტროლი.

**— ასეთივე მდგომარეობაა მამისონის უღელტეხილზეც?**

— მამისონის უღელტეხილზე ჩვენი მესაზღვრეები 20 კილომეტრით არიან სიღრმეში შემოსულნი. მთელი მეტეოსადგური, რომელსაც ჩვენ ვფლობდით მამისონის უღელტეხილზე, საიდანაც საზღვარი იწყებოდა, ახლა რუსების მიერ არის კონტროლირებადი, ანუ ეს ის ტერიტორიებია, რომლებიც აგვისტოს ომთან არავითარ კავშირში არ არის და ეს მიწები, უბრალოდ, დათმობილია.

**— ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე საზღვრის გადმოწევასთან დაკავშირებით თქვენ საგარეო საქმეთა სამინისტროს წინ ჩაატარეთ ბრიფინგი. პასუხი თუ მიიღეთ ამ უწყებისგან?**

— არანაირი განმარტებები არ მოგვისმენია ამ ხელისუფლებისგან. საგარეო საქმეთა სამინისტროსგანაც პასუხი ჯერჯერობით არ მიგვიღია. იმედი მაქვს, საგარეო საქმეთა სამინისტროს ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე ჟურნალისტები დასვამენ ამ შეკითხვას. სამწუხაროდ, არ მაქვს საშუალება, ამ უწყების წარმომადგენლებს შევხვდე, რადგან ისინი არ გვხვდებიან.

**— ფიქრობთ, რომ ეს არის ჩვენი ხელისუფლების კაპიტულანტური პოზიცია? როგორ გგონიათ, რატომ მალავენ ამ ინფორმაციას, საბოლოოდ მაინც ხომ გაირკვეოდა და, თქვენს მსგავსად, ვინმე მოხვდებოდა ლარსზე და გადმოწეულ საზღვარსაც დაინახავდა.**

— დიახ, პირადად ვნახეთ გადმოწეული საზღვარი. იქ, სადაც დგანან ქართველი მესაზღვრეები, ორი კილომეტრის სიღრმეში, იმის იქით აღარ გიშვებენ. არადა, ადრე იქ თავისუფლად შეგვეძლო გადაადგილება. მესაზღვრეები არ გიშვებენ შუაგულ ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე და გეუბნებიან, იქით ვეღარ ვაკონტროლებთ საზღვარსო. აქამდე ხელისუფლებას მიჩქმალვის პოლიტიკა ჰქონდა რეგიონებთან მიმართებით. მახსოვს, მამისონთან დაკავშირებით როცა ხმაური ატყდა, ხელისუფლებამ განაცხადა, ჩვენი მესაზღვრეები მკაცრი ზამთრის გამო დროებით ჩამოვიდნენ და მერე ისევ ავლენ და დაიკავებენ პოზიციებსო. მაგრამ ასე არ ხდება, როგორც წესი, ცივი ზამთრის გამო მესაზღვრეები არ იხევენ უკან. მესაზღვრე იმისაა, რომ ზამთარ-ზაფხულ იქ უნდა იყოს, სადაც საზღვარია. კარგით, ვთქვათ, მკაცრი ზამთრის გამო უკან დაიხიეს, იმის შემდეგ სამჯერ მოვიდა ზაფხული და აღარ დაბრუნებულან უკან. იმ მეტეოსადგურზე, სადაც ჩვენი დროშა ფრიალებდა და ჩვენი მესაზღვრეები იდგნენ, ახლა რუსები დგანან.

**— სხვა საზღვრებზე რა ვითარებაა?**

— ანალოგიური მდგომარეობაა. ხევსურეთში გადმოწეულია საზღვარი. იქ იყო ასეთი სოფელი, ფიჭვნარი, რომელიც უკვე რუსეთის კონტროლქვეშ მოექცა. უფრო სწორად, უკვე ნასოფლარია ფიჭვნარი, რუსეთის კონტროლის ქვეშაა და იქ შესვლა შეუძლებელია. ასევე, მთა-თუშეთში, დიკლოს მთასთან, დაახლოებით ოთხი კილომეტრის სიღრმეში, არის გადმოწეული საზღვარი. საუბარია 25 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე, რომელიც რატომღაც რუსებს დაუთმეს. ასეთივე ვითარებაა წითელ ხიდთან, 400 ჰექტარი ქართული მიწა მოექცა სომხეთის კონტროლქვეშ.

**— ამ ფაქტის გახმიანების შემდეგ იმედი გაქვთ, რომ საზოგადოება ატეხავს განგაშს?**

— არ ვიცი. იმედი მაქვს, რომ ყველას შეგვაწუხებს ეს პრობლემა და ყველა ერთად რაღაცას მოვიფიქრებთ.

**— საზღვრის გადმოწევას ქართული სოფლების დაცლასა და მცოცავ მიგრაციას ხომ არ უკავშირებ?**

— ესეც ამ ხელისუფლების დანაშაულია. საერთოდ, საზღვრის დაცვისა და საზღვრის კონტროლის ყველაზე კარგი საშუალება ადგილობრივი მოსახლეობაა, რომელიც საზღვრის პირას ცხოვრობს. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა გაუარესებულია. ამ მიმართულებითაც ხელისუფლება არაფერს აკეთებს და საზღვრისპირა რეგიონებში დემოგრაფიული სურათი უფრო და უფრო მძიმდება. ჩვენი ეს აქტივობა ეფუძნება სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის მიერ ჩატარებულ მონიტორინგს. ჩვენთვის ეს კვლევა იყო ბოლო წვეთი, რათა საზღვრის გადმოწევის გამო პროტესტი გამოგვეთქვა.

**მანანა ნოზაძე**

SIC!

# კიდევ ერთი უსამართლობა

## ხუხაშვილისა და ხმალაძის დაფუძნებული კვლევითი ინსტიტუტის ანგარიშები დაყადაღებულია

**თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის საბანკო ანგარიშები დააყადაღა. ინსტიტუტის ხელმძღვანელი თეონა აქუბარდია ამბობს, რომ „პროგრესბანკში“ ინსტიტუტის ანგარიშები განმარტების გარეშე დაუყადაღეს და საქალაქო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შესახებ მხოლოდ ბანკში შეიტყო.** თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი, შესაძლოა, ჯერ კიდევ დღევანდელი ოპოზიციის წარმომადგენლებთან, გია ხუხაშვილისა და ვახტანგ ხმალაძის სახელთან ასოცირდება, მაშინ იოლი წარმოსადგენია, რა მოხდა. „ქართუ ბანკიც“, ბიძინა ივანიშვილის სახელთან მხოლოდ ასოცირდებოდა და ივანიშვილი უკვე აღარ იყო მისი აქციონერი, თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია ხელისუფლებისათვის ასოციაციების საფუძველზე ბანკი დაეყადაღებინა. თეონა აქუბარდია მიიჩნევს, რომ რაკი გია ხუხაშვილმა და ვახტანგ ხმალაძემ ინსტიტუტი დატოვეს, ხელისუფლებას პოლიტიკური მოტივები უკვე აღარ უნდა ამოძრავებდეს.

**თეონა აქუბარდია:** საქართველოს განვითარების კვლევით ინსტიტუტს ანგარიში გახსნილი ჰქონდა „პროგრესბანკში“. როდესაც იურისტი ხელფასების გადარიცხვას აპირებდა, აღნიშნული ოპერაცია ინტერნეტბანკინგით ვერ განვახორციელეთ. ამის შემდეგ მივედი ბანკში და მოვითხოვე შესაბამისი ოპერაციის განხორციელება, ასევე მოვითხოვე ამონაწერი ანგარიშიდან, მაგრამ გადმომცეს წერილი, რომ ინსტიტუტის ანგარიშებს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ადევს ყადაღა.

იქიდან გამომდინარე, რომ არ გვქონდა არც განჩინება ან თუნდაც ზეპირი ფორმით მიღებული რაიმე ტიპის შეტყობინება, რის საფუძველზე მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება, მეორე დღესვე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამივე კოლეგიას მივმართეთ წერილით. ასლები გადაეგზავნა მთავარ პროკურატურასა და შემოსავლების სამსახურსაც, რომ განემარტათ, რის საფუძველზე მოხდა ანგარიშების დაყადაღება და ამასთან, მქონდა თუ არა სამართლებრივად ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.

**— პასუხი თუ მიიღეთ რომელიმე უწყებიდან?**

— როდესაც შემოსავლების სამსახურს ტელეფონით ვესაუბრე, მითხრეს, რომ მათი გადაწყვეტილებით არ მომხდარა ანგარიშების დაყადაღება და ინსტიტუტს საბიუჯეტო დავალიანება არ გააჩნდა, რის შესახებაც მათგან წერილობითი ფორმით ველოდები პასუხს.




31 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის კანცელარიისგან მივიღეთ პასუხი, თუმცა ამ წერილიდან გამომდინარე, მე, როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რის გამო მოხდა რეალურად ანგარიშების დაყადაღება, არ გამაჩნია.

**— ანუ თანამშრომლები ხელფასის გარეშე დარჩნენ?**

— ინსტიტუტის საქმიანობის გაგრძელება რეალურად დგება საფრთხის წინაშე, რადგან ინსტიტუტს ალტერნატიული ფინანსები არ გააჩნია იმისათვის, რომ განახორციელოს დაგეგმილი სამუშაოების შესრულებისთვის გათვალისწინებული თანხების ანაზღაურება. ინსტიტუტის თანამშრომლები დარჩნენ ხელფასის გარეშე, გარდა ამისა, ინსტიტუტს ჰქონდა ფინანსური ვალდებულებები შესასრულებელი მოწვეული ექსპერტების მიმართაც.

ინსტიტუტში მიმდინარეობდა წმინდა სამეცნიერო მუშაობა, გამოცემული გვაქვს 8 ბროშურა, ტარდებოდა კონფერენციები, სადაც ვიწვევდით როგორც ყველა პარტიის წარმომადგენლებს, ასევე - არასამთავრობო ორგანიზაციებსა და უცხო ქვეყნების დიპლომატიურ კორპუსებს და რაც მთავარია, ყველაფერი, რაც ხდება არის გამჭვირვალე.

გარდა ამ ხაზისა, კვლევითმა ინსტიტუტმა გასულ წელს ჩაატარა სოციოლოგიური კვლევა, რომელიც ჩვენი დაკვეთით შეასრულა სოციოლოგიური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა იაგო კაჭკაჭიშვილის ხელმძღვანელობით. დღესდღეობითაც გვაქვს რამდენიმე პროექტი, რომელიც ამ ფაქტის გამო ჩერდება.

**— გასაჩივრებას თუ აპირებთ?**

— ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დაგვთანხმდა, დაიცვას ჩვენი ინტერესები სასამართლოში, თუკი რეალურად მოგვეცემა იმის საშუალება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება გავასაჩივროთ.

**— იმ წერილში, რომელიც მიიღეთ, რაიმე ხელშესახები მიზეზი თუ არის დასახელებული?**

— კონკრეტულად რომ ვიცოდე, რომელი უწყების მიზეზით მოხდა დაყადაღება - ეს არის კონტროლის პალატა, პროკურატურა თუ სხვა უწყება, ინფორმაცია არ მაქვს. ერთადერთი, რაც გამორიცხულია, ეს არის შემოსავლების სამსახური.

შესაძლოა, გონივრული ეჭვები ხელისუფლებას აქვს, მაგრამ მე, როგორც ინსტიტუტის საბჭოს თავმჯდომარეს, არ გამაჩნია. ვიდრე არ მეცოდინება, რის გამო მოხდა, ვერანაირ ვარაუდებს ვერ გამოვთქვამ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ქმედებით ინსტიტუტის მუშაობა ჩერდება.

**— რამდენადაც ცნობილია, ეს ინსტიტუტი დააფუძნეს და ამ ინსტიტუტში მუშაობდნენ კიდეც გია ხუხაშვილი და ვახტანგ ხმალაძე, რომლებიც ახლა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენენ, ამ ფაქტთან ხომ არ არის დაკავშირებული დაყადაღება?**

— გია ხუხაშვილმა, რომელიც არის ამ ორგანიზაციის დამფუძნებელი, ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მარტში დატოვა როგორც საბჭოს შემადგენლობა, ასევე საბჭოს თავმჯდომარის პოსტი, იმისათვის, რომ არ ყოფილიყო საუბრები, თითქოს ინსტიტუტს აქვს რაიმე პოლიტიკური კავშირი ნებისმიერ პოლიტიკურ ძალასთან.

ამის შემდეგ მიმიღეს საბჭოს წევრად და ინსტიტუტის წესდების თანახმად, საბჭომ ამირჩია თავმჯდომარედ. რაც შეეხება მეორე დამფუძნებელს, ვახტანგ ხმალაძეს, რომელიც კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატია დიდუბეში, იქამდე, ვიდრე კოალიცია ამ განცხადებას გააკეთებდა, დატოვა როგორც საბჭოს წევრობა, ასევე იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტი და ამის შესახებ ინსტიტუტმა განცხადება გააკეთა კიდეც.

აქედან გამომდინარე, არ მგონია, რაიმე პოლიტიკური მოტივი იყოს, იმდენად, რამდენადაც ამ ადამიანებმა თვითონ მიიღეს ეს გადაწყვეტილება იმისათვის, რომ ინსტიტუტი აბსოლუტურად თავისუფალი ყოფილიყო მსგავსი უსაფუძვლო ბრალდებებისაგან.

**მარიამ თოდაძე**

№146. ხუთშაბათი, 2 აგვისტო, 2012 წელი.

მხარე

# „იმასაც ვნახავთ, რაფერ გაკეთდება!“

## პრეზიდენტის მოულოდნელი სტუმრობა ურეკში და სხვა ამბები



**29 ივლისს, კვირა საღამოს, დაახლოებით რვა საათზე ურეკის თავზე ვერტმფრენი გამოჩნდა, რომელიც საფეხბურთო მოედანზე დაეშვა. ამაში გასაკვირი არაფერია და არც ურეკის მოსახლეობა გაუოცებია ამას. ისინი კარგა ხანია, შეჩვეული არიან ხან პრეზიდენტის თვითმფრინავი დაეშვება აქ, ხანაც ბიძინა ივანიშვილისა. ადრე ბადრი პატარკაციშვილიც ჩამოფრინდებოდა ხოლმე, საკუთარი აგარაკი რომ მოენატრებოდა ანდა უახლოეს მეგობრებთან, მაგალითად, ბერეზოვსკისთან განმარტოება მოესურვებოდა. კვირას საფეხბურთო მოედანზე პრეზიდენტის ვერტმფრენი დაეშვა, რომლიდანაც გადმოვიდნენ სააკაშვილი და მისი თანმხლები რამდენიმე კაცი — რამაზ ნიკოლეიშვილი და გურიის განვითარების ფონდის დირექტორი დავით სირაძე.**

საფეხბურთო მოედნიდან ზღვამდე სულ რაღაც 150 მეტრია. თაყაიშვილის ქუჩის გაგრძელებაზე მიმდინარეობს ურეკის ბულვარის მშენებლობა, რომელიც ამ ერთი თვის წინათ გახსნა პრეზიდენტმა. მისი სტუმრობა ამჯერად იმდენად მოულოდნელი იყო, რომ აქ არც გურიის გუბერნატორი და არც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი არ ყოფილან. ის კი არა, მთავრობის საყვარელი „იმედის“ და „რუსთავის“ ჟურნალისტებიც არ ჩანდნენ. გარემოების წყალობით მხოლოდ „საქართველოს რესპუბლიკის“ აჭარა-გურიის რეგიონის საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი აღმოჩნდა მოვლენების ეპიცენტრში.

პირველი, რაც თვალში საცემი იყო, ისაა, რომ ამ დღეს ურეკში სპეციალურად გაწვრთნილი, პრეზიდენტის შესახვედრად მომზადებული ხალხი არ იყო ჩამოყვანილი. ადგილობრივი გურულები და დასასვენებლად ჩამოსული რამდენიმე ათეული კაცი შეიკრიბა მიხეილ სააკაშვილის დანახვაზე. დაცვაც მეჩხრად ახლდა პრეზიდენტს.

სხვათა შორის, ისინიც არ იყვნენ შეკრებილების მიმართ აგრესიულები. პრეზიდენტმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ბულვარის მშენებლობა დაათვალიერეს. ჯერჯერობით საკურორტო ზოლის ნახევარზე მიმდინარეობს მშენებლობა. ფაქტობრივად უკვე დაგებულია ველოსიპედებით სასეირნო ბილიკი და ფეხით მოსეირნეთა გასავლელები. დასაგები დარჩა შუა ზოლი, რომელიც ფერადი ბეტონით უნდა შეივსოს. უკვე დარგულია პალმები, ჩადებულია ელექტროგანათების კაბელები. აღნიშვნის ღირსია მშენებლების მონდომება. ისინი ღამითაც არ ტოვებენ სამშენებლო მოედანს. შუაღამეზე აგებენ ბეტონს, რათა დამსვენებელს დისკომფორტი არ შეუქმნან.

მიხეილ სააკაშვილი ზღვისპირა კაფეშიც შევიდა. იქაურ მომსახურე პერსონალსა და მომხმარებლებს გაესაუბრა და მალევე დაბრუნდა უკან. შეკრებილებს შორიდან მიესალმა. ამ უკანასკნელებმა ულიმღამო ტაშით უპასუხეს პრეზიდენტს. არ იყო „მიშა მიშას“ ძახილი. შეკრებილები, როგორც შეჰფერით ღირსეულ ადამიანებს, ისე ეგებებოდნენ ქვეყნის პრეზიდენტს. არავითარი ინციდენტი არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით ერთი ქალბატონის კომენტარს, რომელმაც პრეზიდენტი აშკარად გააღიზიანა. ამაზე ქვემოთ.

**— როგორ ხართ?** — ჰკითხა პრეზიდენტმა შეკრებილებს.

გურულებს სირცხვილად მიაჩნიათ, ცუდად ვართო, რომ თქვან. ჰოდა, უპასუხეს, **არა გვიშავსო.**

**— ყველა ურეკელი ხართ, ვინც აქ შეიკრიბეთ?** — იკითხა ქვეყნის პირველმა პირმა.

დიახო, უპასუხეს.

არადა, ნამდვილად ვიცი, რომ იმ დღეს ურეკში ჩამოსვლამდე პრეზიდენტი ბახვის მოსახლეობას რომ შეხვდა, ადგილობრივებთან ერთად სპეციალურად გაწვრთნილი ხალხიც იყო ჩამოყვანილი და ისინი გაჰყვიროდნენ „მიშა მიშაო“.

**ამან კი კარგა გვარიანად გააღიზიანა პრეზიდენტი, რომელმაც არ დააყოვნა და გურულ ქალს შეუტია:**

**— აბა, მითხარით, თუ ერთხელ მაინც მომიტყუებიხართ, მე თქვენ არასდროს არ გეუბნებით სიცრუეს. თქვენ უნდა გვენდოთ ჩვენ და ყველა გაჭირვებას ერთად დავძლევთ.**

**პრეზიდენტი ამის შემდგომ მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.**

პრეზიდენტმა მის დასახვედრად თავისი ნებით მოსულ ხალხს ერთგვარი ანგარიში ჩააბარა. პირადად ჩემთვის გასაკვირი ის იყო, რომ მან განაცხადა:

— ის შეცდომები, რაც ბათუმში დავუშვით, გპირდებით, ურეკის განვითარების შემთხვევაში აღარ განმეორდება. აქაურობა ბათუმს აჯობებს. ჩვენ ურეკის დაპროექტება გერმანელ სპეციალისტებს მივანდეთ. გვეიმედება მათი მაღალი კვალიფიკაციისა. ურეკის ბულვარი ფოთის მიმართულებით ორი კილომეტრით განვითარდება.

ესე იგი, მდინარე სუფსისა და შავი ზღვის შესართავამდე. ქობულეთის მხარეს კი პატარა მდინარე სეფამდე გაგრძელდება. სეფის გაღმა შეკვეთილი იწყება. იქაური მიწები, ვიდრე ფიჭვნარამდე-ქობულეთამდე, თვით მდინარე ჩოლოქის დელტაც ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაა და სააკაშვილი მას ბულვარსა და სხვა გასართობ-სასეიროს ხომ არ აუშენებს! კეთილი ინებოს და თავად მიხედოს ამ საქმეს, მით უმეტეს, რომ ვილა-სახლიც იქა აქვსო, ალბათ, ასე ფიქრობენ ზემოთ.

სახლზე გამახსენდა. ბადრი პატარკაციშვილის სახლი ბოლო დრომდე ურეკში ყველაზე ფეშენებელური და ლამაზი იყო. ოლიგარქმა იგი გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს იყიდა ვანო ჩხარტიშვილისაგან. მაშინ ამ ზღვისპირა დაბაში ფასები დაბალი იყო და როგორც სანდო წყარომ გამანდო, სულ რაღაც 275 ათასი დოლარი გადაუხდია ბატონ ბადრის. სახლი ზედ ზღვისპირასაა. ამიტომაც მისმა მფლობელმა ზღვის მიმდინარე ნაპირი შემოიღობა და დაცვა დააყენა. აქაოდა, ეშმაკს, უფრო სწორად, „ვადლაზებს“ არ სძინავთ, ხომ შეიძლება მილიონერი ზღვით მოიტაცონ და მერე გამოსასყიდი მოითხოვონო. აქაურები ამ შემოღობვას აპროტესტებდნენ, მაგრამ გაგიგონიათ! ვინ ათხოვა მათ ყური. ახლა ბულვარის მშენებლობას შეეწირა პატარკაციშვილების „საკუთარი პლაჟი“. იმ ადგილას, სადაც გუშინ ამ სახლის საცურაო აუზი იყო, ახლა ბულვარი გადის. ღობეც დაანგრიეს და გუშინ ჩვეულებრივ მოკვდავთათვის მიუწვდომელი პლაჟი დღეს მობანავეებითაა სავსე. სახლზე კი რამდენიმე დღეა გაჩნდა აბრა „სასტუმრო თეთრი“ სახლი. ბრძენი კაცის ნათქვამია, „დრონი მეფობენ და არა მეფენიო“. დაცვის მუშაკს ვკითხე, ამ სასტუმროში ნომრები რა ღირსმეთქი. მიპასუხა, მინიმუმ 200 ლარი და ზევითო. როგორც ჩანს, პატარკაციშვილებს ეკონომიკური კრიზისი აქვთ, თორემ ბატონ ბადრის საყვარელ ვილას ტურისტულ სასტუმროდ არ აქცევდნენ.

ისევ პრეზიდენტის ურეკში მოულოდნელ ვიზიტს დავუბრუნდეთ. მიხეილ სააკაშვილის შეკითხვაზე, რა გიჭირთ ხალხოო, ერთმა ქალბატონმა უპასუხა: — შრომაში გზა არ გვივარგა და თუ გვეშველებაო.

პრეზიდენტმა მშველელად რამაზ ნიკოლაიშვილი იხმო. პასუხმაც არ დააყოვნა, — ეს პრობლემა, ბატონო პრეზიდენტო, უახლოეს ხანში გადაწყდება, პროექტი მზადაა, სექტემბრიდან გზის მშენებლობა დაიწყებაო.

— ხედავთ, ბატონ რამაზს არაფერი გამორჩებაო. შეაქო გურიის ნაგუბერნატორალი პრეზიდენტმა. ამის შემდეგ იყო, შეკითხვის ავტორმა ყველას გასაგონად რომ თქვა.

— იმასაც ვნახავთ, რაფერ გაკეთდებაო!

ამან კი კარგა გვარიანად გააღიზიანა პრეზიდენტი, რომელმაც არ დააყოვნა და გურულ ქალს შეუტია:

— აბა, მითხარით, თუ ერთხელ მაინც მომიტყუებიხართ, მე თქვენ არასდროს არ გეუბნებით სიცრუეს. თქვენ უნდა გვენდოთ ჩვენ და ყველა გაჭირვებას ერთად დავძლევთ.

პრეზიდენტი ამის შემდგომ მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. რამაზ ნიკოლაიშვილი და დავით სირაძე ფეხით გაუყვნენ გზას სტადიონაეროდრომისკენ. მეც დრო ვიხელთე და გავესაუბრე.

**— ბატონო რამაზ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ წარმომადგენელი ვარ. ურეკში არ არის ცენტრალური წყალმომარაგება, კანალიზაცია, გაზი. თქვენი პროგრამით თუ არის გათვალისწინებული ამ პრობლემის მოგვარება?**

— არის, როგორ არა. ამ სამუშაოებს სექტემბერში დავიწყებთ.

**— ბატონო დავით, თქვენ ფონდი რა სამუშაოებს დააფინანსებს ურეკში და რამდენი დაიხარჯება?**

— დაუკავშირდით ჩვენს პრესსამსახურს, ისინი მე მომახსენებენ თქვენი შეკითხვების შესახებ და მიიღებთ პასუხს.

**— თქვენს პრესსამსახურს სად და როგორ დავუკავშირდე?**

— მიდით გურიის გუბერნატორის ადმინისტრაციაში და იქ გეტყვიან.

როგორც იტყვიან კომენტარები ზედმეტზე ზედმეტია!

ახლა კი იმის შესახებ, რაც პრეზიდენტმა ურეკში ვერ ნახა, ან არ უთხრეს.

ურეკის ზღვისპირა ერთადერთ მოასფალტებულ ქუჩას, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის სახელს ატარებს, არა აქვს ტროტუარი და ერთმანეთშია არეული ავტომანქანები, დამსვენებლები და ძროხები. ურეკში, ზედ დასასვენებელ კერებთან — სასტუმროებთან კერძო და საագარაკო სახლებთან არსებულ რესტორნებიდან და კაფე-ბარებიდან ისეთი ხმამაღალი მუსიკალური გნიასი გამოდის, რომ დამსვენებლები იქაურობას ტოვებენ და აჭარაში გარბიან. ამის თაობაზე გუბერნატორის ადმინისტრაციას, მუნიციპალიტეტის გამგეობას არაერთხელ მიმართა „არასამთავრობო ორგანიზაცია ურეკმა“, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება ჯიუტად არ რეაგირებს ამ საკითხზე, არაფრად აგდებს ქართული კანონმდებლობის მოთხოვნებს.

**კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ურეკში დასასვენებლად ჩამოსული უცხო ქვეყნების მოქალაქეებისა და ქართველების თვალში ხელისუფლებას სახელს უტეხს, ეს საკურორტო დაბის ელექტროენერგიით მომარაგებაა.**

თავად მე ვიყავი მოწმე, პრეზიდენტის სტუმრობის მეორე დღეს ურეკში ელექტროენერგია ხუთჯერ რომ გაითიშა ერთ დღეში. ადამიანები ამით უდიდეს ეკონომიკურ ზარალს განიცდიან. კაფე-რესტორნებს უფუჭდებათ პროდუქტები, სასტუმროები ცხელი წყლის, კონდიციონერების, სამზარეულო ქურებისა და მაცივრების გარეშე დარჩნენ. თითქმის ყველა უცხოელი, რომელსაც ვესაუბრე, ერთხმად ამბობს, რომ იმედგაცრუებულია იმ რეალობით, რასაც ურეკში უყურებს, ჩვენ სულ სხვა ინფორმაცია გვქონდა საქართველოს წარმატების შესახებ, როგორც ჩანს, მოვტყუებულვართო.

„ენერგო პრო-ჯორჯია“ კი ყველაფერს მშვიდად უყურებს. იცით, რატომ? იმიტომ, რომ მას ჩემს, შენს, ჩვენს წინაშე, ანუ ენერგომომხმარებლის წინაშე, ფაქტობრივად, არავითარი პასუხისმგებლობა არ აკისრია. ეს ჩვენ ვართ კაბალურ მდგომარეობაში ამ მონოპოლისტის წინაშე, ჩვენ, რომლებსაც უსაშველოდ ძვირად გვაწვდიან უხარისხო დენს და იმასაც უზოდიშოდ გვითიშავენ წამდაუწუმ. ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ ხელისუფლება იცავს არა საკუთარი ხალხის, არამედ კორპორაციის ინტერესებს.

**„ენერგო პრო-ჯორჯია“ კი ყველაფერს მშვიდად უყურებს. იცით, რატომ? იმიტომ, რომ მას ჩემს, შენს, ჩვენს წინაშე, ანუ ენერგომომხმარებლის წინაშე, ფაქტობრივად, არავითარი პასუხისმგებლობა არ აკისრია. ეს ჩვენ ვართ კაბალურ მდგომარეობაში ამ მონოპოლისტის წინაშე, ჩვენ, რომლებსაც უსაშველოდ ძვირად გვაწვდიან უხარისხო დენს და იმასაც უზოდიშოდ გვითიშავენ წამდაუწუმ. ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ ხელისუფლება იცავს არა საკუთარი ხალხის, არამედ კორპორაციის ინტერესებს.**

კიდევ ერთი სირცხვილი, რომელიც ურეკში ჩამოსულ დამსვენებელს აოცებს, ის არის, რომ აქაურობა გავსებულია ტაქსებით. ისინი დგანან გზის სავალ ნაწილზე, ნაძვნარში, სასტუმროებისა და კაფე-რესტორნების შესასვლელებთან. აფერხებენ ტრანსპორტის მოძრაობასა და ფეხით გადაადგილებას. ცოდვას ვერ ვიტყვი, პოლიცია დილიდან საღამომდე თავგამოდებით ებრძვის ამ მოძალადეებს, მაგრამ ისინი ჯიუტად არ იშლიან თავისას. კანონმდებლობით ტაქსს ლიცენზია უნდა ჰქონდეს, რომელშიც აღნიშნულია სად შეუძლია მას დგომა. აქ კი მსგავსი რამ იგნორირებულია. თვითმარქვია ტაქსისტები არამარტო ოზურგეთის რაიონიდან არიან ფულის საშოვნელად ურეკში ჩამოსული, არამედ სხვა რაიონის მცხოვრებლებიც ავსებენ აქაურობას. ის კი არა, ჩემი თვალით ვნახე სომხეთის სახელმწიფონომრიან მანქანას ტაქსის ნიშანი რომ ეხნია და დამსვენებლები გადაჰყავდა. მითხრეს, ეს კაცი ოჯახთან ერთად აქ ისვენებს და ფულსაც აკეთებსო. თვითმარქვია „მაკლერებზე“ ხომ ნურაფერს იტყვით. ვისაც ყანის თოხნა შეეზარა, თოხი მიაგდო და რკინიგზის სადგურიდან მაგნეტიტამდე „სამოქმედო ადგილები“ გაიყვეს ერთმანეთში, სადაც დგანან და ჩამოსულ დამსვენებლებს თავის მომსახურებას სთავაზობენ. ერთმა სომეხმა ტურისტმა მითხრა, „როგორ არ რცხვენია ამ ხალხს, ლამის არის საზურგეებში ჩაგივარდეს ხვეწნით, მე წაგიყვან სასტუმროში, ორი კაპიკი გამაკეთებინეო“.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს უკანონო სამეწარმეო საქმიანობაა. სირცხვილი ხომ სირცხვილია!

**ამირან კილურაძე,**
**„საქართველოს რესპუბლიკის“**
**აჭარა-გურიის რეგიონალური**
**საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი**

**P. S. ამ წერილს თუ წაიკითხავენ პრეზიდენტის, ან პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციაში და რაიმე ყურადღება მოჰყვება, ხომ კარგი, თორემ გურული ჩინოვნიკები რომ ვერ გაეცნობიან, ეს ფაქტია. იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ გაეცნობიან, რომ ოზურგეთში „საქართველოს რესპუბლიკის“ არც ერთი ეგზემპლარი არ შედის. სახელმწიფო სტრუქტურებს ხელისუფლებისათვის არასასურველი გაზეთების გამოწერა რომ აკრძალული აქვთ, ეს ამბავი არახალია, ძველია. თუმცა, ამჯერად გამოსავალს ისევ მე ვთავაზობ მათ. თავად გაახლებთ გაზეთის ამ ნომერს. ერთიც ვნახოთ, როგორ დაიკაპიწებთ ხელებს და მეორე დღიდან დაიწყებთ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრას. თუ დაიწყებთ, ხომ კარგი, თუ არადა, არჩევნები და ხვალეო. იცოდეთ, არჩევნებზე ხალხი ყველა პრეტენზიას დაგიდებთ წინ. მერე მე არ დამაბრალოთ, სავარძლები რომ დაკარგოთ.**

**ა. კ.**

# პეკინიდან ლონდონამდე განვლილი ოთხი წელი

**აგვისტო ცუდად აქვს დაცდილი საქართველოს, ისევე, როგორც ოლიმპიური თამაშების გახსნა. ოთხი წელი გავიდა პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნიდან — მძიმედ დასამახსოვრებელი, მწვავე, არასასიამოვნო განცდების აღმძვრელი.**

**ოთხი წელი არცთუ დიდი დროა იმჟამინდელი მოვლენების დასავიწყებლად, თუმცა საკმაოა სინამდვილის მიჩქმალვის და ნაცური ფალსიფიკაციის საყოველთაო გაშლისათვის. დღესაც ბევრს ახსოვს ქვეყნის პრეზიდენტისა და პოლიტიკოსების, სამხედროების სიამაყით აღვსილი განცხადებები ამა თუ იმ სოფლისა და დასახლებული პუნქტის დაბრუნების თაობაზე, ცხინვალში შეჭრილი ქართული არმია...**

ახსოვს რუსეთის სამხედრო პასუხი — ცხინვალიდან გამოდევნილი სამხედროები, თბილისამდე მომდგარი რუსული არმია, სარკოზის მოსკოვ-თბილისის მოგზაურობები, პარლამენტის წინ გამართულ სცენაზე მიკროფონში მობღავლე სააკაშვილი, ბოკერია, უგულავა, სხვები, ინტელიგენციის „სასიქადულო" წარმომადგენლების მოწოდება — მტრის წინააღმდეგ ერთ მუშტად შეკრული საქართველოსთვის, თბილისის ცოცხალი ჯაჭვი და სხვა მრავალი — იმჟამინდელი ვითარების ამსახველი, ფსევდოპატრიოტული, ნაციონალური თვითგადარჩენის სულისკვეთებით სულით-ხორცამდე გაჟღენთილი.

**ქვეყნის პრეზიდენტსა და ნაციონალურ ხელისუფლებას უმთავრესი თავსატკივარი ჰქონდათ — გამოუსწორებელი ავანტიურისტული ნაბიჯის, საქართველოსთვის საბედისწეროს, სხვაგვარად შეფუთვა, სხვაგვარად მიტანა საზოგადოებამდე, რათა ნაცთა პოლიტიკით თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებულ ხალხს გამოფხიზლება არ დაწყებოდა — შესაბამისი ქცევით, კატეგორიული მოთხოვნით — ისტორიის სანაგვეს მიბარებოდა გაუმართლებელი ომის წამომწყები ხელისუფლება.**

ხელისუფლებამ არა მარტო ამ საშიშროების მოთოკვა მოახერხა, არამედ საზოგადოებაც დაარწმუნა, რომ აგრესორი, საქართველოს ხელისუფლება კი არა, მტარვალი რუსეთია, რომელსაც შურს საქართველოს წარმატებების.

**ოთხი წელია, ხელისუფლების მხრიდან გვესმის სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება ომის დაწყებასთან დაკავშირებით, საწინააღმდეგო რეალობისა, თვითმხილველებისა, ტალიავინის სპეციალური კომისიის დასკვნისა, საღი აზრისა.**

შავის გათეთრების ოთხწლიანი პერიოდი სააკაშვილისა და მისი ხელისუფლებისთვის წარმატებით მიმდინარეობს. სისტემატურმა პროპაგანდამ თავისი გააკეთა — დაარწმუნა რა საზოგადოება, რომ შავი თეთრია, თუ მთლად თეთრი არა — მოთეთრო მაინც, ანუ საქართველო იძულებული იყო პირველს გაესროლა, ვინაიდან მის ტერიტორიაზე შემოჭრილ რუსულ არმადას პასუხი ხომ უნდა გასცემოდა?!

საქართველო ომში ჩაითრიეს, საქართველოს ხელისუფლებას სულაც არ სურდა ომი, მაგრამ მზაკვარმა მეზობელმა სხვა გამოსავალი არ დაუტოვა. ქართული ვერსიის განსამტკიცებლად სისტემატურად მოჰყავთ ტალიავინის კომისიის სიტყვები. როგორც ჩანს, ხელისუფლება სხვაგვარად კითხულობს დასკვნას, არა ისე, როგორც უბრალო მომაკვდავები.

**სხვაგვარად წაიკითხა ტექსტი მთავარმა „მეოცნებემ" და უმალ განიმტკიცა რუსეთის მოყვარული ადამიანის სახელი — ომი საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყოო, თქვა თუ არა ეს, წიკლაურიდან დაწყებულმა ვინ არ დაწიხლა. ეს როგორ თქვაო, ეს მოღალატეობააო, გაჰყვირიან ნაცები და მათზე მიბმული საზოგადოება. ვითარება ისე დაიძაბა, რომ „მეოცნებემაც" ლამის „დაშვებული შეცდომა" აღიარა - განაცხადა რა — მე ასე არ მითქვამსო. როგორ არაო - იყო პასუხი, თანაც ვიდეოკადრით გამაგრებული, ანუ გუშინდელი ნათქვამი და დღევანდელი საწინააღმდეგო მოსაზრება.**

ქართული პოლიტიკისთვის უცხო არ არის ერთმანეთის გამომრიცხავი განცხადებების კეთება. 2008 წლის ომის დროს ოპოზიციამ თანადგომა გამოუცხადა ხელისუფლებას „სამართლიან" ომში, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ დაადანაშაულა ის ამ „სამართლიანი" ომის წამოწყებაში.

პეკინის ოლიმპიური თამაშებიდან ლონდონამდე ოთხი წელი გავიდა — საქართველოსთვის ერთობ დაძაბული, არასასიამოვნო წლები — დაკარგული ტერიტორიებით, დაღუპული მეომრებით, გაუბედურებული ოჯახებით, ახალი დევნილებით და აქედან გამომდინარე, ახალი პრობლემებით.

ერთი მუჭა ქვეყანა ლამის იძულებით გადაადგილებულ პირთა ქვეყნად იქცა. სადაც არ გაიხედავთ ყველგან აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან იძულებით



გადმოსახლებულები არიან — გაუთავებელი მოთქმა-ტირილით, იძულებითი გასახლებით და სხვა. ხელისუფლება ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ოკუპირებული მიწებიდან მათი წამოსვლა ხელისუფლების ბრალი კი არა, თვით ლტოლვილების ბრალი იყოს. ორივე შემთხვევაში ხელისუფლებამ კი არ დაიწყო ომი, არამედ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებმა ქართველებმა.

ცხინვალის ომმა თუ ვინმეს სარგებელი მოუტანა, საქართველოს ხელისუფლებაა - უპირველესად ოთხმილიარდნახევარი დოლარის სახით. გარდა ამისა, მას მიანიჭა უცოდველი, უმანკო კრავის სტატუსი — შევიწროებულ-გაუპატიურებული რუსული დათვის მიერ. ომმა ქვეყანას ახალი ინვესტიციები მოუტანა, ასე აცხადებდა მაშინდელი ეკონომიკის მინისტრი ჟვანია, ამჟამად საპატრიარქოს ჩრდილში შეყუჟული.

ცხინვალის ომის შემდეგ საერთაშორისო არენაზე გაიზარდა საქართველოს ხსენება. ცხინვალის ომმა რუსეთის მოწინააღმდეგეებს მომგებიანი კოზირი მისცა, რასაც ისინი წარმატებით იყენებენ დიპლომატიურ ჭიდილში. ცხინვალის თემას და აქედან გამომდინარე რუსეთთან დამოკიდებულებას არაერთი კონფერენცია, შეკრება, სხვადასხვა სახის ღონისძიება მიეძღვნა. გადაიღეს ფილმიც, დაიწერა ათასობით სტატია და სხვა. საქართველოს ხელისუფალთ საზღვარგარეთ მოგზაურობის დამატებითი საბაბი გაუჩნდა, რასაც ის ზედმიწევნით გულმოდგინედ იყენებს. საქართველოს პრეზიდენტი კიდევ უფრო მისაღები პირი გახდა დასავლეთისთვის.

ომის შემდგომი ოთხი წლის მანძილზე დასავლეთმა, კერძოდ აშშ-მა ყველაფერი იღონა საკუთარი პროექტის — „სააკაშვილის" გადარჩენისთვის და არა მარტო გადაარჩინა, არამედ ზენიტში აიყვანა. ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ბელორუსიის პრეზიდენტს უარი უთხრეს, ისე, როგორც სხვებს, სააკაშვილს — მწვანე შუქი აუნთეს.

ცხინვალის ომით დასავლეთმა, კერძოდ აშშ-მა რუსეთის მიმართ მუდმივი წამოსაძახებელი შექმნა. იქიდან მოყოლებული დღემდე არ ყოფილა ამერიკა-რუსეთის პირველ პირთა არც ერთი შეხვედრა, სადაც საქართველოს შესახებ არ თქმულა, თუნდაც რიტუალური დაფიქსირების სახით. აშშ-ის ადმინისტრაციის ძალისხმევით, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება „ოკუპაციად" იქნა მიჩნეული. ეს ტერმინი ამერიკელებმა საერთაშორისო ორგანიზაციებშიც დაამკვიდრეს. რუსეთის მიერ მოგებული ომი მასმედიაში ლამის წაგებულად ჩაითვალა. ამ მხრივ დასავლეთმა და საქართველომ რუსეთს პირწმინდად მოუგეს, თუმცა ამით საქართველოს შვება არ უგრძვნია, არც მიტაცებული ტერიტორიები დაბრუნებია.

სულ ახლახან სოხუმსა და ცხინვალს სტუმრობდა რუსეთის სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი ვლადიმერ ჩირკინი. მისი ვიზიტი მოსკოვ-თბილისის ხელშეკრულებას მიეძღვნა, რომელიც 20 წლის წინათ დაიდო დაგომისში და რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სამშვიდობო ოპერაციას სამხრეთ ოსეთში. არ დააყოვნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებამაც, სადაც კიდევ ერთხელ დაიგმო რუსეთის ქმედება და კრიტიკის ქარცეცხლში გატარდა რუსეთის მიერ დაგეგმილი სამხედრო მანევრები „კავკასია 2012".

ვიქტორ ლიტოვკინი - „დამოუკიდებელი სამხედრო მიმოხილვის" პასუხისმგებელი რედაქტორი, იხილავს რა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას, ამბობს: „აზრი არ აქვს ამ განცხადების რიტორიკის განხილვას, რომელიც ძალიან წააგავს ოფიციალური ტოკიოს განცხადებებს, როდესაც კურილის კუნძულებს სტუმრობენ რუსეთის პოლიტიკოსები.

არ შეუძლიათ საქართველოში, იაპონიის მსგავსად შეეგუონ 2008 წლის აგვისტოს ომში დამარცხებას, რომელიც პროვოცირებული იყო არა რუსეთის მიერ, და რის შედეგადაც მოხდა საკუთარი ტერიტორიების დაკარგვა. ასეთი რამ ემართებათ აგრესორებს და ამასთან ვერაფერს გააწყობთ. თუმცა ოფიციალურ თბილისს ჰქონდა სრული შესაძლებლობა მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა ცხინვალთან არსებული პრობლემები. დაგომისის 1992 წლის 14 ივლისის ხელშეკრულება აძლევდა მას ამის საშუალებას, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმმა გადაწყვიტა არა მოლაპარაკების, არამედ სამხედრო გზით პრობლემის მოგვარება, მზაკვრულად თავს დაესხა რა სამშვიდობო ძალებს და საკუთარ მოსახლეობას. რასაც დასთეს, იმას მოიმკი". „არავითარ „მილიტარიზაციას" ადგილი არ აქვს არც აფხაზეთში და არც ცხინვალის რეგიონში, ისე, როგორც ეს არის სამინისტროს განცხადებაში აღნიშნული", — აცხადებს ექსპერტი.

„მილიტარიზაცია — ნიშნავს ომისთვის მზადებას, რომელიც ხდება როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურაში. რუსეთი არც სოხუმს და არც ცხინვალს არ აქეზებს საქართველოსთან საომრად. ორივე მათგანმა 20 წლის განმავლობაში ბევრი პროვოკაცია იწვნია საქართველოს რეჟიმის მხრიდან. ორივე ქვეყნის ხალხებმა კარგად იციან, ვისგან უნდა დაიცვან თავი, ამიტომაც მოიწვიეს რუსეთი უსაფრთხოების დასაცავად. რუსეთი არ გაყიდის მათ, ისე, როგორც ეს საქართველოს ჩვევია", — ამბობს ექსპერტი.

რა გაეწყობა, როდესაც საბაბს მისცემ - მეტსაც იტყვიან.

მტყუან-მართლის გარკვევას ოთხი წელი მოუნდნენ. მრავალი ოთხიც გავა, მაგრამ „გაურკვეველი" ბევრი რამ იქნება, ანუ ის, რაც ერთისთვის იქნება გარკვეული, მეორესთვის — მუდამ გაურკვეველი. გარკვეული კი იქნება ერთი — ოკუპირებული ტერიტორიები, ანუ საქართველოსთვის დაკარგული.

რაც შეეხება სამხედრო მანევრებს — „კავკასია 2012", თვით სიტყვა ნიშნავს ბრძოლას მაკეტზე, ვირტუალურ ბრძოლას, კომპიუტერულს და არა ნამდვილს. ცხადია, მანევრების დროს ჩაერთვებიან სამხედროები და სამხედრო ტექნიკა, რაშიც მონაწილეობას მიიღებენ ჩრდილო კავკასიაში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ნაწილები. რუსეთის განცხადებით, მანევრებში მონაწილეობას არ მიიღებენ ცხინვალის მე-4 და სოხუმის მე-7 რუსული სამხედრო ბაზები. მაშ, რისთვის სჭირდება საქართველოს ხელისუფლებას ხალხში პანიკის თესვა?

**მედიაში გაკეთებულ განცხადებებში რუსული მანევრები და საქართველოს არჩევნები ერთმანეთზეა გადაჭდობილი, თითქოს ეს მანევრები სპეციალურად დაიგეგმა, რათა არჩევნებში გამოწვეული არეულობით ისარგებლოს რუსეთმა და შემოიჭრას საქართველოში.**

**უკბილო არგუმენტია. ჯერ ერთი რაღა შემოჭრა უნდა — ისედაც აქ არის და მეორეც — შემოჭრისათვის სულაც არ არის საჭირო სამხედრო მანევრები.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ინფორმაცია

## აღსრულების ეროვნულ ბიუროში ახალი სერვისი ამოქმედდა

აღსრულების ეროვნულ ბიუროში ახალი სერვისი, „ფაქტების კონსტატაცია" ამოქმედდა.

როგორც აღსრულების ბიუროდან იტყობინებიან, ფაქტების კონსტატაციის სერვისის ძირითადი მიზანი ფაქტის დადგენა და მომხდარზე ოქმის შედგენაა. მოქალაქის მიერ ფაქტის დადასტურების თხოვნით მიმართვის შემდეგ, აღმასრულებელი ადგილზე დააფიქსირებს კონკრეტულ სიტუაციას — ფაქტს; ზედმიწევნით ზუსტად აღწერს ფაქტებს ოქმში, გამოიყენებს ტექნიკურ მოწყობილობებს, აიღებს ნიმუშებს, როდესაც ეს აუცილებელია და დაურთავს ყველა მიღებულ მასალას ოქმს, რომელიც დაამტკიცებს ფაქტის არსებობას და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად.

ბიუროში მიიჩნევენ, რომ „ფაქტების კონსტატაციის" სერვისი მნიშვნელოვნად შეამცირებს სასამართლო პროცესების ხანგრძლივობას მტკიცების სტადიის ხარჯზე; ხელს შეუწყობს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაძლიერებას და მოახდენს უფლებათა წინასწარგანზრახული დარღვევის პრევენციას.

ფაქტების კონსტატაციის სერვისით მოსახლეობას შეუძლია ისარგებლოს ქონების გაქირავებამდე მისი მდგომარეობის ასახვისათვის; სამეზობლო დავებისას — წყლის ჩამოშვებისას, საერთო სარგებლობის კიბით, სხვენით ან გზით სარგებლობის ხელისშეშლის შემთხვევაში; ჩუქების; გაყრის; ქონების გაყოფის; მემკვიდრეობით მიღების დროს ქონების სრული ინვენტარიზაციისათვის და ა.შ. ახალი სერვისით სარგებლობა მოსახლეობას საქართველოს ყველა რეგიონში უკვე დღეიდან შეეძლება.

ინტერპრესი

## ახლადგახსნილი სასტუმრო ყაზბეგში...

**ყველაფერი ხით არის მოპირკეთებული; ხის სასიამოვნო სუნითაა სავსე.**

**პანორამული ფანჯრიდან ულამაზესი ხედი იშლება — გერგეტის სამება და მის თავზე აზიდული მყინვარწვერი.**

ხისიატაკიანი ვერანდა წნული სავარძლებით, ხის ტაბლებით და დიდი, დეკორატიული ქოთნებითაა გაწყობილი. სასტუმროს მობინადრენი საღამოობით აქ სხედან, სასმელს შეექცევიან, კავკასიონის ცქერით ტკბებიან.

მართლაც შესანიშნავად იმუშავეს დიზაინერებმა ნატა ჯანბერიძემ და ქეთი თოლორაიამ, როცა ბიზნესმენ თემურ უგულავას ახალი, 156-ნომრიანი სასტუმრო Rooms Hotel Kazbegi, იგივე „რუმს ყაზბეგის" სტილისტიკა შეიმუშავეს და საბჭოთადროინდელ, სტანდარტულ ტურბაზას არტისტული იერი მიანიჭეს.

სასტუმროს გახსნა, ხელისუფლებამ, ჩვეულებისამებრ, მეტისმეტად იჩქარა — 14 ივლისს პრეზიდენტი, ამალისა და ჟურნალისტების თანხლებით ყაზბეგში ავიდა და საზოგადოებას ქვეყნის ალმშენებლობის კიდევ ერთი სიახლე აუწყა. მოგვიანებით გაირკვა, რომ სასტუმროში ბევრი რამ ჯერ კიდევ დასამთავრებელი იყო: ნულოვან სართულზე დიდი აუზი და სავარჯიშო დარბაზი მოეწყობა. ფოიეს მიმდებარე საკონფერენციო სივრცე 16-მაგიდიან კაზინოდ გარდაიქმნება, სადაც სპეციალური, „პრაივიტზონა" ჰოლდემ პოკერის მოთამაშეებს დაეთმობა.

„რუმს ყაზბეგი" ფულიან კლიენტურაზეა განსაზღვრული. მალე, აქ ამოქმედდება ისეთი სერვისები როგორიცაა კვადროციკლებით მიდამოების დათვალიერება, ვერტმფრენით გადაფრენ-გადმოფრენა, ხელოვნურთოვლიან სათხილამურო ტრასებზე დაშვება, ცხენებით გასეირნება და გამოცდილი მთის გიდების თანხლებით, მყინვარწვერის დალაშქვრა.

სასტუმროს ნომერი 100-140 დოლარი ღირს კვების გარეშე. საბოლოო ფასი, „ჰოლიდეი ინის" გაყიდვების მენეჯერის, გივი კიღურაძის სიტყვით, სასტუმროს დასრულების შემდეგ დადგინდება.

ქართული კომფორტის პირველი დამგემოვნებლები, როგორც წესი, ძლიერნი ამა ქვეყნისანი არიან.

პრეზიდენტის თქმით, ტურიზმი ერთ-ერთი პრიორიტეტია, თუმცა იგივე ყაზბეგის რაიონს წესიერი გზა დღემდე ვერ ეღირსა: ჯვრის უღელტეხილზე მგზავრს დაუსრულებელი რყევისგან ზღვის ავადმყოფობა დაემართება. იგივე მდგომარეობაში ჩავარდება ადამიანი გერგეთის სამების მოუწყობელ სერპანტინზე ჯიპით ასვლის დროსაც.

ძვირადღირებული სასტუმროები, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ ტურიზმში ფუფუნების სექტორი წამყვანი არ არის. ამას გარდა, არც საქართველოა ის ქვეყანა, სადაც საშუალო კლასის ევროპელი დიდი ფულის დასახარჯად ჩამოვა. დასავლეთი ჩვენ, ჯერჯერობით, არ აღგვიქვამს ცივილური სამყაროს ნაწილად. ის გვიყურებს, როგორც ეთნოგრაფიულად საინტერესო მხარეს, სადაც ადამიანმა შეიძლება ისიამოვნოს ხელუხლებელი ბუნების ცქერით, ნადირობითა და თევზაობით, მოაწყოს აგროტური და დააგემოვნოს ღვინო. მაგრამ ტურიზმის ეს განხრები მასობრივი არ არის.

მთელს მსოფლიოში ტურისტების უმეტესობას სხვა მიზანი აქვს - რაც შეიძლება დაბალ ფასში იყიდოს მაქსიმალური კომფორტი. კარგად დაისვენოს და ჭამოს. და, რაც მთავარია, ჰქონდეს ცივილური გარემო.

რა თქმა უნდა, ჩვენში იქმნება ახალი ტურისტული ცენტრები: სიღნაღი, ბათუმი, ქუთაისი, ანაკლია, ყვარელი. ლამაზი ფასადები სასიამოვნო შესახედია, ოღონდ ტურიზმისთვის ეს არ კმარა — ტურიზმი მეტად ფაქიზი ინდუსტრიაა, რომელიც უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული კარგად განვითარებული სასტუმრო და სარესტორნე ბიზნესიდან დაწყებული, გზებზე სუფთა ტუალეტებით დამთავრებული, რაც ჩვენში, ჯერჯერობით არ არის.

ახალი ტურისტული პროდუქტებიდან შეგვიძლია სიღნაღი და ბათუმი განვიხილოთ. აქედან პირველი — წარუმატებელია; მეორემ ხელისუფლების იმედები აშკარად გაამართლა.

## სიღნაღი

**რესტავრაციისა და ორი სასტუმროს აშენების მიუხედავად, ქიზიყის პაწია, ულამაზესი ციხე-ქალაქი ტურიზმის ცენტრად ვერ იქცა. სიღნაღში ორი, შედარებით დიდი სასტუმროა. მათი მფლობელები — ბიზნესმენი თემურ ჭყონია და ხელისუფლებასთან შეზრდილი ძმები კოდუები არიან. კლიენტებს ამ სასტუმროების მომსახურეობა მაინცდამაინც არ მოსწონთ (კოდუებისთვის, როგორც ამბობენ, გავრცელებული პრაქტიკაა, უფასოდ ამუშაონ ხალხი. ამის გამო, მათთან „დასაქმებულები" თავიანთ მოვალეობებს გულიანად ვერ ასრულებენ).**

ქალაქში ორი კაზინოა — ერთი დიდი, ხმამაღალი სახელწოდებით „ევროპა" და ერთიც პატარა, რომელსაც სასტუმროს ანალოგზე „საოჯახო კაზინოც" შეიძლება ვუწოდოთ. დატვირთული არც კაზინოებია. არავინ იცის, რა გათვლებით დაადგინეს, რომ სიღნაღში „რულეტკით" ტურისტებს მიიზიდავდნენ. სიძვირისა და მოწყენილობის გამო, სიღნაღში სტუმრებს ღამე დარჩენაც არ სურთ. ქალაქის უმთავრესი მიმზიდველობა გალავნიდან გადაშლილი კავკასიონის ქედი და ალაზნის ველია. მათ ნახვას კი ნახევარი საათიც ჰყოფნის.

ამერიკელი მხატვარი ჯონ ვურდემანი სევდიანი სიღნაღის ყველაზე წარმატებული მაცხოვრებელია: მისი მარანი და ღვინო „ხოხბის ცრემლები" ბევრ ტურისტს იზიდავს. საქართველოზე შეყვარებული ჯონი ცოდნის, კარგი გემოვნებისა და საერთაშორისო კონტაქტების წყალობით, ნელ-ნელა აფართოებს საქმიანობას: მარნის გარდა, მას აქვს რესტორანი, სამხატვრო გალერეა და ხალიჩების მაღაზია, სადაც ძველი და ახალი - ქართული, აზერბაიჯანული, სპარსული ხალიჩები და სუზანები აქვს გამოფენილი. მისი ბიზნესის წარმატება, უპირველესად, „ხოხბის ცრემლებმა" განაპირობა.

სიყვარულის ქალაქად წოდებულმა სიღნაღმა კიდევ რამდენიმე უცხოელი მიიზიდა: ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ერთ ჰოლანდიელს ჰაინეკენის ბარი აქვს გახსნილი, რომლის შესასვლელი და მიმდებარე ტერიტორია, მშობლიური ქვეყნის საყვარელი ტრანსპორტით - ველოსიპედებით აქვს გაფორმებული. ეს ცოტა არ იყოს, შეუსაბამოდ გამოიყურება მთაზე შეფენილი აღმართ - დაღმართიანი ქალაქისთვის.

სიღნაღის მაკიაჟწასმული ფასადები მოზრეცილ კიბეებს, დამპალ საძირკვლებსა და დაქანებულ იატაკებს ფარავს, მაგრამ ვერ ფარავს სიღნაღელების სილატაკეს.

საქართველო იმ ქვეყნებს ემსგავსება, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ თანაარსებობს უკიდურესი სილატაკე და თვალშისაცემი ფუფუნება; მონაგავებული უკანა ეზო და ლამაზი ფასადი.

## ბათუმი

**ბათუმი უცხოელებისთვის თბილისის შემდეგ, ყველაზე პოპულარული ადგილია. აქ უმეტესად აზერბაიჯანელები, სომხები, ირანელები, თურქები და უკრაინელები ჩამოდიან.**

თურქებს ბათუმის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ: ქალაქსა და რეგიონს ოტომანთა იმპერიის ყოფილ ნაწილად აღიქვამენ, რომელზეც მათი გავლენა კვლავ უნდა გავრცელდეს - ბათუმს უყურებენ , როგორც ყოფილ საფაშოს, სადაც შეიძინენ საკუთრებას, იშოვიან შემოსავლის წყაროს— ლიბერალური კანონმდებლობა მათთვის მშვენიერ პირობებს ქმნის. ბათუმის უმთავრესი ხიბლი მულტიკულტურული გარემო და კაზინოებია, სადაც მართლმორწმუნე მუსლიმები სიამოვნებით ერთობიან. ამას ემატება საზაფხულოდ სრული დატვირთვით მომუშავე ბორდელები, რომლებიც თურქულს, როგორც ამბობენ, სიიაფით უწევს კონკურენციას. თუ, ხელისუფლებამ დანაქადნები შეასრულა და ბათუმში მარიხუანის ლეგალიზებაც მოახდინა, აჭარის დედაქალაქი მეზობელი ქვეყნიდან შემოსულ სტუმრებს, ალბათ, ვეღარ აუვა.

## ციფრები და ნაცარი თვალში

**2003 წელს საქართველოს საზღვარი 313.443 ათასმა უცხო ქვეყნის მოქალაქემ გადმოკვეთა. 2011 წელს, მაჩვენებელმა 2. 822 363-ს მიაღწია.**

# ქართული ტურიზმის ნაციონალური ბრწყინვალება და ეროვნული სილატაკე



ამ რაოდენობიდან უდიდესი ნაწილი დსთ-ს ქვეყნებზე მოდის, საიდანაც 2011 წელს, 1 მილიონ 787 ათას 666 მოქალაქე შემოვიდა. ყველაზე ხშირად საქართველოს საზღვარზე აზერბაიჯანელები — (714 ათასი), სომხები (700 ათასი) და რუსები (278 ათასი) შემოდიან. ძალიან დიდია თურქების რაოდენობა, რომელმაც 2011 წელს 738 ათასს გადააჭარბა და რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

2008 წლის ომის მიუხედავად, რუსეთის მოქალაქეთა რაოდენობაც გაიზარდა: 2008-ში საზღვარზე 114.459 რუსეთის მოქალაქე შემოვიდა. 2010-ში — 170.584 , 201-ში — 278.458. მათი დიდი ნაწილი — ქართული წარმოშობის იქაური მოქალაქეა და საქართველოში ნათესავებთან ჩამოდის.

დასავლეთ ევროპიდან ბოლო 3 წელიწადში, საშუალოდ 35 ათასი მოქალაქე შემოვიდა, რაც, რბილად რომ ვთქვათ, შთამბეჭდავი ციფრი არ არის.

2012 წლის პირველი 6 თვის მონაცემებით, საქართველოს საზღვარი მილიონნახევარზე მეტმა მოქალაქემ გადმოკვეთა, ტურიზმის სააგენტოს სტატისტიკის დეპარტამენტის კვლევის თანახმად, ტურისტები, საშუალოდ, შემოსულთა 40 პროცენტს შეადგენენ. , ანუ, 2012 წლის პირველ ნახევარში, საქართველოში დაახლოებით 670 ათასი ტურისტი შემოვიდა. ჩვენი მთავრობა, წარმატებული პოლიტიკის საილუსტრაციოდ, ტურისტების რაოდენობად საქართველოს საზღვარზე შემოსული უცხოეთის მოქალაქეების საერთო რაოდენობას ასაღებს: მათი განცხადებით, ქვეყანაში შარშან 3 მილიონამდე ტურისტი შემოვიდა, წლეულს კი მათი რაოდენობა 4 მილიონს მიაღწევს.

თავად ტუროპერატორების მონაცემები რადიკალურად განსხვავდება ხელისუფლების „რეალობისგან". მათი გათვლით, ტურისტების მაქსიმალურ რაოდენობა წელიწადში 200 — 250 ათასია, რაც მთავრობის განცხადებების ფონზე შთამბეჭდავი ციფრი ნამდვილად არ არის (შედარებისთვის— სომხეთში, წელიწადში 800 ათასი ტურისტი ჩადის. თუმცა, ამ ტურისტების უდიდესი ნაწილი სომხების მრავალმილიონიანი დიასპორის წარმომადგენელია).

## ევროპას და რუსეთს არ ვაინტერესებთ

**როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ტურიზმის ცენტრებია თბილისი და ბათუმი (საერთო რაოდენობის 80 პროცენტი თანაბრად სტუმრობს ან ერთ, ან მეორე ქალაქს) დანარჩენი 20 პროცენტი კი, მცხეთაში, ქუთაისში, სიღნაღსა და ყაზბეგში ერთდღიანი გასეირნებებით შემოიფარგლება. საქართველოში ჩამოსვლის მთავარი მიზანია დასვენება, გართობა და კულინარიული ტურიზმი - ჩვენებური სამზარეულოს დაგემოვნება ბევრს სურს. ქართული კულტურა, ფოლკლორი და მომლოცველობა მხოლოდ 5 პროცენტს იზიდავს. ძალიან დაბალია სამედიცინო, ექსტრემალური და ეკო - ტურიზმის წილი. საინტერესო ფაქტია - ტურისტების რაოდენობის თითქმის ნახევარი საქართველოში ავტობუსით, ან მინიბუსით შემოდის, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მათი კონტინგენტის სადაურობას - ესენია ჩვენი მეზობლები: სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი და რუსეთის საზღვრისპირა რეგიონები.**

2008 წლის ომმა საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის იმიჯი, მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ შეარყია: საქართველო ჩათვალა უკიდურესი საშიშროების შემცველ ადგილად (exstreme dangerა. რის გამოც, ევროპული სააგენტოები ჩვენს მიმართ ინტერესს არ იჩენენ.

ქართული ტუროპერატორების მთავარი სამიზნე რუსეთის ბაზარია: „რუსი ტურისტი ყველას ჯობია. ბევრს ხარჯავს" - ამბობენ ჩვენთან. მცდელობის მიუხედავად, რუსეთში პარტნიორი კომპანიის მოძებნა ძალიან ჭირს: იქაურ კომპანიებს საქართველო არ აინტერესებთ. ისინი ამბობენ, რომ ჩვენი ეშინიათ; რომ ქართველი მაჩოები რუს ქალბატონებს „ერჩიან", რომ საქართველოში არასტაბილური ვითარებაა, რომ აქ ბანდიტები ისვრიან და ა.შ. გასაგებია, რომ პოლიტიკა და საქართველოს საწინააღმდეგო პროპაგანდა, ტურიზმზეც აისახება.მაგრამ მათთვის მთავარი განმსაზღვრელი ფასია, რომლითაც საქართველო კონკურეციას ვერ უწევს ვერც ბულგარეთს, ვერც სლოვენიას, ხორვატიას და მით უმეტეს — თურქეთს, რომლის ეკონომიკა ბოლო წლებში შესაშური ტემპით ვითარდება.

ფასის გარდა, მომსახურების ხარისხსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მომსახურება საქართველოსთვის ახალი სფეროა, რომელიც ცოდნას, გამოცდილებას და შესაბამის მენტალიტეტსაც მოითხოვს;

რუსმა ნუვორიშებმა ფული იშოვეს და ეშურებიან ევროპაში, ოკეანიის კუნძულებზე, აღმოსავლეთ აზიაში - წარსულს ჩაბარდა საბჭოეთის რკინის ფარდა და საქართველოს საუწყებო სანატორიუმები, ტურბაზები. ყველაზე საუკეთესო, რაც ქვეყანას აფხაზეთის სანაპიროს სახით ქონდა, უკვე 16 წელია, თავად რუსებს აქვთ მიტაცებული.

საქართველო ასაკოვან რუსებს ახსოვთ და შეიძლება ითქვას, ენატრებათ კიდეც — მათთვის უძრაობის ხანის დალხენილი რესპუბლიკა და ლაღი თბილისი ზღაპრული მოგონებაა. „ჩემთვის საქართველო რაინდებისა და არისტოკრატების ქვეყანაა" — ნოსტალგიური განწყობით მითხრა ერთმა რუსმა ქალბატონმა. მსგავსი შეხედულება, პუტინის ხელისუფლების მტრული პროპაგანდის მიუხედავად, ზოგიერთს ჯერ კიდევ შემორჩა.

ისტორიული ტრადიცია იზიდავს ჩვენსკენ თურქებსა და ირანელებსაც — ამ უკანასკნელთ ვაინტერესებთ, როგორც ყოფილი ვილაიეთი, სადაც გაცილებით ლაღად გრძნობენ თავს, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში.

რას წარმოვადგენთ დანარჩენი მსოფლიოსთვის?

ჯერჯერობით, არაფერს!

## შევადაროთ ფასები

**საშუალო სტატისტიკურ ევროპელ დამსვენებელს საქართველოში ჩამოსვლას ბულგარეთის, ხორვატიის, თურქეთისა და, ბუნებრივია, საბერძნეთის დათვალიერება ურჩევნია. როგორც შედარებით დაბალი ფასის, ასევე — კომფორტისა და მაღალი ხარისხის მომსახურების გამო.** შესადარებლად, შეგვიძლია თურქეთისა და დასავლეთ ევროპის ტურების ფასებს გადავხედოთ: რვადღიანი ტური სტამბოლისა და ეგეოსის ზღვის ანტიკური სიძველეების — ტროას, პერგამონის, ეფესოსა და პამუკალეს წყაროების შემოვლით, სამვარსკვლავიან სასტუმროში, ერთ კაცზე 870 ლარი ჯდება (429 ევრო), 5-ვარსკვლავიანში — 1592 ლარი (785 ევრო). ათდღიანი რელიგიური ტური თურქეთის ყველა ქრისტიანული სიწმინდის მონახულებით, სადაც შედის სტამბოლი, იზმირი, ლაოდიკეა, ეფესო და კიდევ რამდენიმე ქალაქი — სამვარსკვლავიანი სასტუმრო — 1775 ლარი (875 ევრო); 5-ვარსკვლავიან სასტუმროში — 2.432 ლარი ( 1199 ევრო).

გადავხედოთ ევროპულ, ეგრეთ წოდებულ ეკონომიურ (მცირებიუჯეტიანი) ტურებს: 10 დღის მანძილზე 6 დასავლეთევროპული ქვეყნის — საფრანგეთის, შვეიცარიის, გერმანიის, ჰოლანდიის, იტალიისა და ბელგიის მონახულება — 926 ლარიდან ზევით. 15-დღიანი ტური: საფრანგეთი, მონაკო, იტალია, ვატიკანი, შვეიცარია, ნიდერლანდები, ბელგია — 1550 ლარიდან ზევით.

საქართველოში 7-დღიანი კულტურული ტურის საშუალო ფასი 1320 ლარია (800 დოლარი).

აჭარის სანაპიროზე 10-დღიანი დასვენების საფასური თავისი ექსკურსიებით კი 1600 - 1800 ლარამდეა.

## ვისთვის?

**ევროკავშირმა ე.წ. „ღვინის აკვნად"კი გვაღიარა, მაგრამ დასავლეთს ჩვენი, როგორც ტურისტული ქვეყნის ინტერესი, ჯერჯერობით არ აქვს. საამისოდ, რეკლამის გარდა სხვა ფაქტორებია საჭირო. კერძოდ, საქართველოს ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა ხორვატიის ან ბულგარეთის დონეზე მაინც უნდა ავიდეს. საგულისხმოა — ამ ქვეყნებში ყოველწლიურად ათ-ათი მილიონი ტურისტი შედის. ევროპული ცივილიზაციის აკვანში — საბერძნეთში კი 17.5 მილიონი, რაც საბერძნეთის მთლიანი შიდა პროდუქტის 15 პროცენტია.**

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით , უახლოეს მომავალში, საქართველომ 5-6 მილიონ ტურისტს უნდა უმასპინძლოს. მართლაც — ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობებისა და კულტურის გათვალისწინებით, ტურისტების ეს რაოდენობა სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი. მაგრამ ამ მაჩვენებლის მიღწევა მასიურ ტურიზმს მოითხოვს, რომელსაც სოლიდური ინვესტიციები სჭირდება ინფრასტრუქტურის — კერძოდ, საშუალო კლასის, ხარისხიანი სასტუმროების ქსელის ასაშენებლად (ტურისტების არსებულ რაოდენობას ძირითადად, საოჯახო სასტუმროები ემსახურებიან, რომლებიც სტანდარტის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ და ვერც ტურისტების დიდ რაოდენობას მიიღებენ). და, რაც მთავარია, სჭირდება მართვისა და მომსახურების ცოდნა — ანუ, პროფესიონალიზმი, რაც იშვიათი გამონაკლისების გარდა, ტურიზმსა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში არ გვაქვს (ისევე, როგორც, ზოგადად, ბევრ სხვა სფეროში).

საქართველოს ხელისუფლების ტრენდი კი ჯერჯერობით, უცვლელია: ეს არის ფორსირებული „პიარ" კამპანიები და luxury კლასის სატუმროების განვითარება, რომლითაც მსოფლიოში ექსკლუზიურად სარგებლობს ძალიან დიდი შემოსავლების მქონე ადამიანთა ვიწრო წრე. ასე, რომ, ჩვენი მთავრობის გლამურული ტურიზმისკენ ლტოლვა (ზოგადადაც, ქართველ ჩინოვნიკებს უყვართ გლამური) საბოლოო ჯამში, მხოლოდ ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტას, მასთან მიბმულ ბიზნესსა და საერთაშორისო კომპანიებში მომუშავე უცხოელებს ემსახურება.

**მაია ჩიკვაიძე,**
**For.ge**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „ენ-დი-აი“ სხვას რომ ამტკიცებდა?

**PENN SCHOEN BERLAND (PSB)-ის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა**

**პენ შონ ბერლანდმა ახლახანს დაასრულა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა საქართველოში. გამოკითხვა ჩატარდა 3 ივლისიდან 15 ივლისის პერიოდში. მასში მონაწილეობა მიიღო 1980-მა ქართველმა ამომრჩეველმა, რომლებიც, სავარაუდოდ, მონაწილეობას მიიღებენ ამ ქვეყნის მომავალ საპარლამენტო არჩევნებში.**

გამოკითხვა ჩატარდა „ფარული კენჭისყრის“ მეთოდის გამოყენებით, რომლის მიხედვითაც ამომრჩევლებს სთხოვეს, მოენიშნათ ქაღალდის ბიულეტენში ორი ან რამოდენიმე შესაძლო კანდიდატიდან ერთ-ერთი, ჩაედოთ ეს მონიშნული ბიულეტენი დალუქულ კონვერტში და ჩაეშვათ სპეციალურ პარკში ისე, რომ ინტერვიუერებს არ სცოდნოდათ მათი პასუხი მოცემულ შეკითხვაზე. ეს მეთოდი გამოყენებულ იქნა, რათა გაეთვალისწინებინათ შეშფოთება დაკავშირებული ამ ქვეყანაში ამომრჩევლის დაშინების შესახებ და ამავე დროს, რაც შეიძლება მეტად მიემსგავსებინათ იგი არჩევნების ნამდვილი პროცესისთვის.

გამოკითხვა თავიდანვე აჩვენებს, რომ **„ქართული ოცნება“ ერთი პუნქტით უსწრებს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“,** თუმცა შესაძლო ამომრჩეველთაგან 39% -ი მაინც არ არის საკმარისად ინფორმირებული ამ ორი პარტიის ლიდერების შესახებ. მას შემდეგ, რაც რესპონდენტებს გააცნეს ინფორმაცია პარტიის ლიდერების შესახებ სპეციალური სავარჯიშოს საშუალებით, რომელიც საარჩევნო კამპანიის იმიტაციას წარმოადგენს და სადაც ამომრჩევლებს აცნობენ კანდიდატებს, **„ქართულმა ოცნებამ“ ცხრა პუნქტით გაუსწრო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“** (46% – „ქართული ოცნება“, 37% – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“).



მიღებული შედეგების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ამომრჩევლის უარყოფითი დამოკიდებულება მთავრობის ბოლოდროინდელი მცდელობების მიმართ, რაც გამოიხატებოდა ხელისუფლების მიერ „ქართული ოცნებისა“ და მისი კანდიდატების შევიწროებაში.

**პოტენციურ ამომრჩეველთა 81% თვლის,** რომ ხელისუფლების მხრიდან ბიძინა ივანიშვილისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევა მის მიერ საკუთარი კანდიდატურის წამოყენების შემდეგ, მცდარი ნაბიჯი იყო და რომ მას უნდა დაუბრუნდეს საქართველოს მოქალაქეობა. **63% თვლის,** რომ ხელისუფლების ეს ნაბიჯი მოტივირებული იყო მცდელობით, არ დაეშვა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა.

რაც შეეხება ხელისუფლების ბოლოდროინდელ მცდელობას, ნება მისცეს ივანიშვილს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში როგორც კანდიდატმა და, ამავდროულად, შეზღუდოს მისი სხვა პოლიტიკური უფლებები, **გამოკითხულთა 66%,** რომელთაც იცოდნენ მთავრობის ამ მცდელობის შესახებ, აცხადებს, რომ **„ეს კიდევ ერთი მაგალითია ხელისუფლების მხრიდან, რომ მოქალაქეობის ჩამორთმევით ხელი შეუშალონ ივანიშვილის პოლიტიკაში ჩაბმას და ამავე დროს, შეინარჩუნონ სამართლიანობის გარეგნული სახე“.**

პოტენციური ამომრჩევლების 81% ინფორმირებული იყო, რომ ცოტა ხნის წინათ ხელისუფლებამ ივანიშვილი 73 მილიონი ლარით დააჯარიმა. აქედან 62% აცხადებს, რომ ეს იყო **„ხელისუფლების მცდელობა, ფული წაერთმია ივანიშვილისათვის და ეს თანხა საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინა და ივანიშვილი მართალია, რომ ამ თანხის გადახდა არ სურს“. მხოლოდ 21% თვლიდა, რომ ჯარიმა კანონიერი იყო და ივანიშვილმა უნდა გადაიხადოს იგი.**

რაც შეეხება სიტუაციას ზოგადად, მაშინ როცა ამომრჩეველთა 47% -ს 43%-ის წინააღმდეგ მიაჩნია, რომ ქვეყანა „სწორი“ მიმართულებით ვითარდება, ამავდროულად 49%-ს 40%-ის წინააღმდეგ სჯერა, რომ ქვეყნის ეკონომიკა „მცდარ გზაზე“ დგას.

ამომრჩეველთა **58%** ეთანხმება განცხადებას, რომ **„ჩვენ მნიშვნელოვანი ცვლილებები გვჭირდება საქართველოში“.**

დასაქმება და ეკონომიკა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა ქვეყანაში. პოტენციურ ამომრჩეველთა 73%-ს მიაჩნია, რომ უმუშევრობა ყველაზე მნიშვნელოვანი ან, უკიდურეს შემთხვევაში, თავისი მნიშვნელობით მეორე მთავარი პრობლემაა, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას. 53% -ს მიაჩნია, რომ სამუშაო ადგილების შექმნა და საერთო ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა უნდა იყოს მთავრობის უპირველესი პრიორიტეტი მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში.

საინტერესოა, რომ როდესაც ამომრჩევლებს ჰკითხეს, ვინ იცის უკეთესად სამუშაო ადგილების შექმნა და ვის შეუძლია უკეთესად შეუწყოს ხელი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, **ორივე შეკითხვაზე ბიძინა ივანიშვილმა 12 პუნქტით გაუსწრო მიხეილ სააკაშვილს** (48% 36%-ის წინააღმდეგ ორივე კითხვის ჩათვლით).

ქართველები ასევე სულ უფრო მეტ შეშფოთებას გამოთქვამენ დემოკრატიისა და თავისუფლებებთან დაკავშირებით – **ყოველი 4 გამოკითხულიდან 1-ზე ნაკლები იწონებს მთავრობის საქმიანობას საქართველოში დემოკრატიის დონის გაუმჯობესების საკითხში; ასევე ყოველი 5-დან 1-ზე ნაკლებს მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ კარგად იმუშავა იმისათვის, რომ მათი მმართველობის პროცესი ღია და გამჭვირვალე ყოფილიყო.** თებერვალში ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შემდეგ ყველაზე დიდი ვარდნა ხელისუფლების მხარდაჭერაში იყო თავისუფალი მედიის უზრუნველყოფის საკითხების გამო - რესპონდენტების მხოლოდ 17% თვლის, რომ ამ სფეროში მთავრობა კარგად მოქმედებს, მაშინ, როდესაც თებერვალში ეს 27% იყო.

ზოგადად, რადგანაც არჩევნებამდე ჯერ კიდევ რამდენიმე თვეა დარჩენილი (ამ პერიოდისათვის ხელისუფლებას ჯერ არ აქვს გამოცხადებული არჩევნების ჩატარების თარიღი), როგორც ჩანს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში ოპოზიცია კონკურენტუნარიანია და გამარჯვების მისაღწევად კარგი შესაძლებლობები აქვს.

პენ შონ ბერლანდი (PSB) მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი მარკეტინგული კვლევების კომპანიაა, რომელსაც მუშაობის გამოცდილება აქვს 100-ზე მეტ ქვეყანაში. დაარსებიდან 30 წლის შემდეგ პენ შონ ბერლანდს (PSB) ნამუშევარი აქვს ისეთ უმსხვილეს კომპანიებთან, როგორიცაა მაიკროსოფთი, ინტელი და ფორდ მოტორსი (Microsoft, Intel and Ford Motors). რაც შეეხება პოლიტიკის სფეროს, პენ შონ ბერლანდის (PSB) დახმარებით არჩეული იყო სახელმწიფოს 30-მდე მეთაური, მათ შორის აშშ პრეზიდენტი ბილ კლინტონი, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი და იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი. პენ შონ ბერლანდი (PSB) აგრეთვე იყო ქალაქ ნიუ-იორკის მერის მაიკლ ბლუმბერგისა და შეერთებული შტატების სენატორის ჰილარი კლინტონის მთავარი მრჩეველი.

პენ შონ ბერლანდმა (PSB) ეს კვლევა შეასრულა ევროპული პლატფორმა დემოკრატიისათვის საქართველოში (EPDIG) დავალებით. ამ ორგანიზაციისა (EPDIG) და კვლევის შესახებ ინფორმაცია იხილეთ - www.epdig.eu

# უმუშევრობა ევროზონაში რეკორდულ დონეზე გავიდა

**2012 წლის ივნისში უმუშევრობამ ევროზონის 17 ქვეყანაში 11,2 პროცენტი შეადგინა, ამას ადასტურებს ევროპის კავშირის სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები. ამჟამინდელი მაჩვენებელი სარეკორდო მაქსიმუმია ამ მონაცემებისათვის თვალყურის დევნების დაწყებიდან 1995 წელს. მაისში უმუშევრობის გადასინჯული მაჩვენებელიც ასევე იყო 11,2 პროცენტი, მაშინ, როდესაც ადრე იტყობინებოდნენ 11,1 პროცენტის დონის შესახებ. ევროკავშირში უმუშევრობა ივნისში დარჩა მაისის დონეზე – 11,4 პროცენტი. 2011 წლის ივნისში უმუშევრობა ევროკავშირის 27 ქვეყანაში 9,5 პროცენტს შეადგენდა. ივლისში ევროკავშირში 25,112 მილიონი უმუშევარი ითვლებოდა, მათგან 17,801 მილინი – ევროზონაში. მაისთან შედარებით უმუშევრების რიცხვი ევროკავშირში 127 000 კაცით გაიზარდა, ევროზონაში – 123 000-ით. 2011 წლის ივნისთან შედარებით უმუშევრობის ზრდამ 2,165 მილიონი და 2,024 მილიონი შეადგინა შესაბამისად. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის უმუშევრობის ყველაზე დაბალი დონე დაფიქსირებულია ავსტრიაში (4,5 პროცენტი), ნიდერლანდში (5,1 პროცენტი), გერმანიასა და ლუსქენბურგში (5,4 პროცენტი), ხოლო ყველაზე მაღალი – ესპანეთში (24,8 პროცენტი) და საბერძნეთში (22,5 პროცენტი 2012 წლის აპრილში). გასული წლის ივნისთან შედარებით უმუშევრობის დონე შემცირდა 7, გაიზარდა 19 ქვეყანაში და არ შეცვლილა მხოლოდ შვედეთში.**

# დედამიწის ზურგზე

### ირანში აღიარეს: მილიარდიანი კომპენსაცია C-300-სთვის მათ არ სჭირდებათ, უკეთესია თავად საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი და ბევრი ახალი ატომური ელექტროსადგური



**სარჩელი არბიტრაჟში C-300-ის მიწოდების ჩაშლისთვის ირანში შეაფასეს სულ რაღაც 900 მილიონ დოლარად, მაგრამ სასამართლომ თავად დაუმატა რუსეთს პრეტენზიები კიდევ სამ მილიარდ დოლარზე, განაცხადა ირანის ელჩმა რუსეთის ფედერაციაში. საერთოდ, საქმე უმალვე დაიხურება თუ მოსკოვი განაახლებს მიწოდებას. რუსეთის იმედი აქვთ „მშვიდობიანი ატომის“ საკითხებშიც: თეირანს სურს, ააშენოს კიდევ ბევრი „ბუშერი“.**

### აშშ-ის სასამართლომ დაავალდებულა „ალ ქაიდა“, „თალიბანი“ და ირანი, გადაუხადონ 6 მილიარდზე მეტი დოლარი 11 ნოემბრის ტერორისტული აქტების მსხვერპლთ

**მანჰეტენის ოლქის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპენსაცია უნდა მიიღოს 110 კაცმა, რომლებიც გადარჩნენ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ, აგრეთვე 47 დაღუპულის ნათესავებს. სხვათა შორის, ძნელად რომ რომელიმე მათგანმა იხილოს ეს ფული.**

### ეკვადორში დააპატიმრეს რუსეთელი, რომელსაც ინტერპოლი ორი წელიწადია ეძებდა

**ეკვადორის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილე ხავიერ კორდობა იტყობინება, რომ 28 წლის გრიგორი ბასალიგინი ექვმიტანილია ორგანიზებულ დანაშაულობასთან კავშირში და მთელ რიგ დანაშაულებში მონაწილეობაში, რომლებიც განხორციელდა რუსეთის ტერიტორიაზე, მათ შორის დანაშაულებში ნარკოტიკების ვაჭრობაში. ეკვადორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, დაკავების დროს რუსეთელი ცდილობდა, ავტომობილზე დამალვოდა პოლიციელებს.**

### ამერიკის თვითმფრინავის ბორტზე სკანდალის შემდეგ ბუტერბროდი ნემსით შეხვდა კანადის რეისის მგზავრსაც



**ადრე ნემსისთვის ლორში ჩიოდნენ ამერიკის ერთ-ერთი ავიაკომპანიის კლიენტები. ახლა სახიფათო ბუტერბროდები აღმოჩნდა კანადის თვითმფრინავის ბორტზეც. „აირ კანადამ“ რეაგირება საჩივარზე მოახდინა უმალვე: კომპანია დაუკავშირდა საზოგადოებრივი კვების სამსახურს და იგი მჭიდროდ თანამშრომლობს პოლიციასთან, რომელიც დაინტერესდა ინციდენტით.**

### საუდის არაბეთმა გაეროს გენერალურ ასამბლეას შესთავაზა რეზოლუცია სირიის წინააღმდეგ სანქციებით

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, ეს პროექტი მრავალგზის იმეორებს ფორმულირებებს, რომელსაც შეიცავდა სხვა დოკუმენტი, რომელიც 19 ივლისს შეტანილი იყო კენჭისყრაზე უშიშროების საბჭოში დიდი ბრიტანეთის მიერ. იგი დაბლოკეს რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის დელეგაციებმა. ახალი დოკუმენტი გენერალური ასამბლეის კენჭისყრაზე გამოტანილი იქნება 2 აგვისტოს.**

### ლიბიაში გაიტაცეს ირანის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების შვიდი თანამშრომელი

**ჰუმანიტარული ორგანიზაციის წარმომადგენლები აიყვანეს შეიარაღებულმა პირებმა ქალაქ ბელგაზის ცენტრში. ჯგუფი ამ ქალაქში ჩამოვიდა 30 ივლისს ქალაქელებისთვის დახმარების გასაწევად.**

### გაიცა ორდერი ცნობილი ამერიკელი მსახიობის კიუბი გუდინგ-უმცროსის დაპატიმრებაზე

**ახალი ორლეანის ერთ-ერთ ბარში „ოსკარის“ მფლობელმა ორჯერ ჰკრა ხელი ბარმენს იმისთვის, რომ მან სთხოვა მას წასულიყო. ქალბატონის სიტყვებით, მსახიობი უკიდურესად გაღიზიანებული იყო, როდესაც რამდენიმე პირმა ბარიდან იცნო იგი და სთხოვა მას გადაეღო მათთან სურათი.**

### სირიელმა მეამბოხეებმა თურქეთიდან მიიღეს გადატანითი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი ასადის ავიაციასთან ბრძოლისთვის



**„სირიის თავისუფალმა არმიამ“ პირველად კონფლიქტის დაწყებიდან შეიარაღებისთვის მიიღო თითქმის 2 დუჟინი გადასატანი სარაკეტო დანადგარი. მეამბოხეებს იმედი აქვთ, რომ ეს მხოლოდ პირველი პარტიაა. მათ იმედი აქვთ, გამოიყენონ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები ალეპოში მთავრობის ავიაციასთან ბრძოლისთვის. დანადგარების წარმომავლობის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.**

„1949 წლის 21 თებერვალს მალენკოვი მუშაკთა ჯგუფთან ერთად ჩავიდა ლენინგრადში პარტიის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის ბიუროსა და გაერთიანებული პლენუმის ჩასატარებლად, სადაც განაცხადა, რომ ლენინგრადში არსებობდა ანტიპარტიული ჯგუფი...

1949 წლის 13 მარტს მოსკოვში, მალენკოვის კაბინეტში დააპატიმრეს კუზნეცოვი, პოპკოვი, როდიონოვი, ლაზუტინი, სოლოვიოვი.

იმავდროულად გაიშალა სამზადისი ვოზნესენსკის მიმართ. გამოიყენეს სსრ კავშირის სახელმწიფო მომარაგების კომიტეტის თავმჯდომარის პომაზნიოვის ბარათი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მხრივ 1949 წლის I კვარტალში სამრეწველო წარმოების გეგმის შემცირების შესახებ.

ჩვენებათა მიღების მიზნით მალენკოვი პირადად ხელმძღვანელობდა გამოძიების მსვლელობას და დაკითხვებში უშუალოდ მონაწილეობდა...“

რა შუაშია აქ ბერია?

არადა, ხომ მსგავს „ბრალდებებზეა“ აგებული „ურჩხული“ ლავრენტი პავლოვიჩის მთელი სახე. აგებულია მუსავატისტური ბაქოს ხანებიდან დაწყებული, დაპატიმრების დღემდე.

და ასევე ყალბადაა მოხაზული „ტირანი“ სტალინის საქმეც, რის შექმნაშიც ვაგლახ, რომ თავისი წვლილი შეიტანეს სერგო ბერიამაც, შესაძლოა, იმისი „მოგონებების“ პოლიტშემსწორებლებმაც. სერგო ლავრენტიევიჩი ამტკიცებდა, რომ ესაოდა სტალინს განზრახული ჰქონდა ახალი ადამიანებით ყველა ძველი თანამოაზრის შეცვლა, მოლოტოვისაც, მალენკოვისაც, ხრუშჩოვისაც, ბერიასიც ჩამოცილება, რათა ისტორიაში, ომის მომგებ და სახელმწიფოს შემქმნელ სუფთა კაცად შესულიყო.

ეს აზრი მხოლოდ იმიტომ მომყავს, რომ ეხმაურება კ.ზალესკის მტკიცებას: სტალინს რომ ნომენკლატურის „შეჯანჯღარება“ მოესწრო, მაშინ „ხრუშჩოვის ეპოქა“ საერთოდ არ იქნებოდაო; ამ შემთხვევაში ხელისუფლებაში მოვიდოდნენ „ბრეჟნევის ეპოქის“ ის ადამიანები, რომლებმაც ძალაუფლება 1964 წლის ოქტომბერში აიღეს. ამ თეზისს, როგორც სრულიად მიუღებელს, მე ხელს ვერ ავუქნევ – განახლება მართლაც შესაძლებელი იყო, თუმცა კი „სისხლიანი აბანოების“ გარეშე. სტალინი ცკ-ის პლენუმზე, 1952 წლის ოქტომბერში პირდაპირ ამბობდა, რომ უნდა დაწინაურდნენ ახალგაზრდები, განსაკუთრებით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და მინისტრების მოადგილეების თანამდებობებზე. მან შენიშნა, რომ მინისტრის სამუშაო „გლეხური სამუშაოა“ და მაგარ ჯანმრთელობას მოითხოვს. ამნაირ აზრებს იგი 1952 წლის 20 ოქტომბერსაც გამოსთქვამდა კრემლის კაბინეტში გამართულ სხდომაზე.

სტალინს რომ ჩაფიქრებული ჰქონოდა – წარმოვიდგინოთ ეს ერთი წამით – რაღაც „სისხლის გამოშვება“, ასე როდი ილაპარაკებდა „ძველი გვარდიის“ თანდასწრებით; ოღონდ რაკი თვითონ ალაპარაკდა რაღაც გადადგომის მაგვარზე, გულისხმობდა რა საკუთარ თავს, მაშინ გადააადგილებები აშკარად იგულისხმებოდა; თანაც ბელადს, საბჭოური საზოგადოების განვითარების თავის ხედვასთან სრული შესაბამისობით, განზრახული ჰქონდა სკკპ-ის ხელმძღანელობაში მთელი „არეოპაგის“ თავმოყრა საზოგადოებაზე იდეური გავლენისთვის, ხოლო სამეურნეო მართვის გადაცემას აპირებდა ახალგაზრდა ძალებისთვის;თუმცა გამოცდილ მეურნეთა ზედამხედველობით.

ერთი რამაა ცუდი – სტალინი, როგორც ეტყობა, ვერ ხედავდა ბერიას ახალგაზრდა სამეურნეო კადრების გამოცდილი ლიდერის რანგში; არადა ოდენ ლავრენტი პავლოვიჩს შეეძლო ამგვარი ლიდერობა; და ეს ვარიანტი რომ გასულიყო, ქვეყნის შემდგომი განვითარება წავიდოდა სოციალიზმისა და სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი წინსვლის გზით.

მაშ, რატომ მოხდა სხვანაირად?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იოლი როდია; კერძოდ, იმიტომაც, რომ როგორც სავსებით ფალფისიცირებული იყო ომისწინა ბოლო კვირეული და მხოლოდ ახლა, არაპროფესიონალი ისტორიკოსების ძალისხმევით, იძენს რეალურად ყოფილ იერს, ასევე კიდევ მეტადაა აბურდული და ფალსიფიცირებული სტალინის სიცოცხლის უკანასკნელი ოთხი თვე; თუმცა რამდენიმე ფაქტი თუ გარემოება არავისგან და არანაირად არაა უარყოფილი (მაგალითად ის, რომ სტალინის სიკვდილის ოფიციალური თარიღი 1953 წლის 5 მარტია). ამგვარ ფაქტებს მიეკუთვნება 1953 წლის 9 იანვარს შემდგარი სკკპ-ის ცკ-ის პრეზიდიუმის ბიუროს სხდომაც. ბიურო თითქმის სრული შემადგენლობით შეიკრიბა, მიწვეულთა შორის არ იყო სახელმწიფო უშიშროების მინისტრი იგნატიევი; არც სტალინი დასწრებია სხდომას – შეუძლოდ გახლდათ.

უეჭველი ფაქტია ისიც, რომ 9 იანვარს განიხილებოდა მთელი ქვეყნისადმი მიმართული საკდესის ცნობის პროექტი „ექიმ-მავნებელთა“ ჯგუფის დატუსაღების შესახებ და „პრავდაში“ მოწინავე სტატიის ხელნაწერი – „საზიზღარი ჯაშუშები და მკვლელები პროფესორ-ექიმთა ნიღბით“. ეს აბათილებს სტალინისადმი წაყენებულ ბრალდებებს, თითქოს ის ზოგჯერ გაურბოდა პასუხისმგებლობას მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე: ცხადი იყო, რომ ასეთ მოწინავეს ყველა პირადად სტალინისეულად აღიქვამდა (თუმცა, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ სტატიის სტილის მიხედვით ვიმსჯელებთ, საეჭვოა, რომ სინამდვილეში ასე ყოფილიყო).

კოსტირჩენკო კი (მცოდნე წყარო) იტყობინება, რომ გენერალური შტაბის მთავარ სადაზვერვო სამმართველოში ჩამოყალიბებული იყო მე-13 („ანტისიონისტური“) განყოფილება, რომლის ამოცანა გახლდათ ქვეყნის შიგნით ებრაელთა „მეხუთე კოლონასთან“ ბრძოლა. დამახასიათებელია, რომ ასეთი განყოფილება შეიქმნა არმიის სპეცსამსახურში და არა საერთო სახელმწიფოში, ანუ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის იგნატიევის უწყებაში. ეს ამტკიცებდა, რომ სტალინი უკვე არ ენდობოდა არც სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, არც პირადად იგნატიევს. ამასთან, თუ ახალი განყოფილების ნომრის (13!) მიხედვით განვსჯით, ბელადი კარგად ერკვეოდა „ხალათებიანი ძმების“ სხვადასხვა „თამაშში“, რაზეც არაორაზროვნად მიანიშნებდა განყოფილების ნომერიც.

ამის მერე აღარაა გასაკვირი, რომ 13 იანვრის აქეთ სტალინს დარჩენოდა რვაზე ნაკლები კვირის სიცოცხლე.

ამასობაში „ატომური“ საქმეები თავისი რიგით მიდიოდა. მარტო 4 დღის სიგრძეზე 1953 წლის იანვარში მინისტრ-



# სერგეი კრემლიოვი

# დიდი ბერია

## რამდენიმე თავი ახალი წიგნიდან




თა საბჭოს ხუთი ვრცელი დადგენილება და განკარგულება გამოვიდა სხვადასხვა საკითხის ირგვლივ: ცალკე ლაბორატორიად მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროტექნიკური ლაბორატორიის გამოყოფის თაობაზე; უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში 1953 წელს ურანზე სარევიზიო-საძიებო სამუშაოების ორგანიზების შესახებ და ასე შემდეგ. ყველა დოკუმენტისთვის დაწესებული სტალინის ხელმოწერა არ არის, თუმცა, ეს როდი ნიშნავს, რომ იგი არ აწერდა ხელს პირველ ეგზემპლარებს (ხსენებული დოკუმენტები „სსრ კავშირის ატომური პროექტის მასალებში“ ქვეყნდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა სამმართველოს საოქმო ნაწილით დამოწმებული ასლების მიხედვით)...

17 თებერვალს სტალინმა მიიღო ინდოეთის ელჩი კ.მენონი და დიდხანს ესაუბრა. მენონის სიტყვებით, ბელადი, 73 წლის მიუხედავად, სრულიად ჯანსაღად გამოიყურებოდა...

აქ ცოტა უკან დავიხიოთ და ერთ საოცარი და უჩვეულო შინაარსის დოკუმენტს გავეცნოთ:

„ამხანაგებს ბერიას, მალენკოვს, ბულგანინს. ამონაწერი ცკ-ის პრეზიდიუმის ბიუროს 1953 წლის 26 იანვრის სხდომის № 7 ოქმიდან.

საკითხი სპეციალურ სამუშაოებზე მეთვალყურეობის შესახებ.

დაევალოს სამეულს ამხანაგების ბერიას (თავმჯდომარე), მალენკოვის, ბულგანინის შემადგენლობით განსაკუთრებულ საქმეთა სპეციალური ორგანოების მუშაობის ხელმძღვანელობა. სკკპ-ის ცკ-ის პრეზიდიუმის ბიურო“.

მე მხოლოდ მარჩიელობა შემიძლია, თუ როგორ უნდა გვესმოდეს ეს დოკუმენტი, მაგრამ დიახაც, შემიძლია!

ყველა თავდაცვითი სამუშაო გეგმიანად მიდიოდა და მათი ხელმძღვანელობის გაძლიერების (თანაც მალენკოვითა და ბულგანინით!) საჭიროება არ ჩანდა.

ოღონდ მკითხველის ყურადღებას იმაზე გავამახვილებ, რომ ეს განსაკუთრებული „სამეული“ წარმოადგენდა „ხელმძღვანელი ხუთეულის“ (სტალინი, ბერია, ბულგანინი, მალენკოვი, ხრუშჩოვი) ნიკიტა სერგეევიჩზე შეკვეცილ ვარიანტს. სტალინი, ბუნებრივია, ანგარიშში არ შედის, ის იგულისხმებოდა. ბელადი ამ „სამეულისთვის“ ნებისმიერ შემთხვევაში იქნებოდა „მეეტლე“ და „სამეული“ იქით გაემგზავრებოდა, საითაც „მეეტლე“ მართავდა.

მაინც რომელი სპეციალური ორგანოებისა და რა განსაკუთრებულ საქმეებზე მუშაობისთვის უნდა ეხელმძღვანელა ამ გაუგებარ „სამეულს“? პასუხს ამ კითხვაზე თითქოს იძლევა „სამეულის“ სხდომათა ოქმები: მიღებული იყო გადაწყვეტილებები პირველ (ატომური) დარგში; მეორე (ურანის მოპოვება) დარგში; „კ“ დარგში („ბერკუტი“ და „კომეტა“); „ზ“ (რაკეტული ტექნიკა) – ნაკეთობათა საცდელ-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე და სხვა.

თითქოს აქ ყველაფერი მიდიოდა დიდი ხნის მოწესრიგებულ კალაპოტში; მაშ რატომ უცბად „სამეული“? რა საჭირო იყო ამგვარ ვიწრო წრეში ბულგანინის შეყვანა-შეიარაღებულ ძალთა საკითხები „სამეულის“ სხდომათა დღის წესრიგში ხომ უკანა პლანზე იდგა?

ვფიქრობ, რომ ამ კითხვებზე შეუძლებელია დოკუმენტურად პასუხების გაცემა – სტალინისა და ბერიას მკვლელობების წიაღ არქივები, უნდა ვივარაუდოთ, სერიოზულად იწმინდებოდა; და განა შეიძლებოდა სტალინის გარკვეული მნიშვნელოვანი ჩანაფიქრების წერილობითი დოკუმენტირება – თუ ეს ჩანაფიქრები ჰქონდა? არადა, ჩანს, ჰქონდა!

ყოველ შემთხვევაში, „სამეულის“ შექმნის ნამდვილი მიზანი ვერ იქნებოდა მარტოოდენ თავდაცვითი სამუშაოები და აი, რატომ: სტალინის გარდაცვალების შემდეგ მიიღეს უკვე მალენკოვის ხელმოწერილი მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სპეციალურ სამუშაოთა ხელმძღვანელობის შესახებ“, რომლითაც იქმნებოდა სპეციალური კომიტეტი მინისტრთა საბჭოსთან – ლ.პ. ბერიას თავმჯდომარეობით.

სპეცკომიტეტს ეკისრებოდა „ყველა სპეციალური სამუშაოს ხელმძღვანელობა (ატომურ მრეწველობაში, „ბერკუტისა“ და „კომეტის“ სისტემებში, შორეული მოქმედების რაკეტებში)...“

ასეთი ხელმძღვანელობა და „განსაკუთრებულ საქმეთა სპეციალური ორგანოების მუშაობის ხელმძღვანელობა“ აშკარად სხვადასხვა რამ იყო. ორი ფორმულირება გინდა ფორმით, გინდა აზრით, რაღაც ძალიან განსხვავდება.

როგორ შეიძლება ყველაფერ ამის ახსნა? საჭიროა ზედმიწევნით თვალის გადევნება არაერთი რგოლისგან შემდგარი ჯაჭვისთვის, ფაქტების შეჯერება, ამბების ქრონოლოგიის შემოწმება და ა.შ.

ასე თუ გააკეთებ, ვთქვათ, მალენკოვის როლი სტალინის სიცოცხლის ბოლო კვირების ამბებში შეიძლება, ჯამურად, აღმოჩნდეს როგორც ნეიტრალური, ისე უარყოფითი.

ამრიგად, იყო 1953 წლის 9 იანვარი, იყო საკდესის ცნობები ექიმთა საქმეზე, ხოლო ცკ-ის პრეზიდიუმის ბიურო იწონებს ამ ცნობების პროექტს. 13 იანვარს „ექიმთა საქმე“ გამოქვეყნდა. „მეხუთე კოლონა“ პანიკაში ვარდება, ხოლო ხმები (მეტიც, ინფორმაცია) სახელმწიფო სადაზვერვო სამმართველოში მე-13 განყოფილების შექმნაზე, პანიკას უფრო აძლიერებს. მოვლენები ვითარდება.

სახელმწიფო უშიშროების მინისტრი იგნატიევი, ხრუშჩოვის (შესაძლოა, მალენკოვისაც) უეჭველი კრეატურა, აგრეთვე შეშფოთებულია. ის ამბებს მოსწყვიტეს, თოკის ყულფშია თავგაყოფილი. ამასთან დაცვის სამმართველოს (პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა დაცვის), ესე იგი სტალინის დაცვისაც, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში უძლვება კაცი, რომელსაც სემიონ იგნატიევი საკუთარი თავივით ენდობა. ვინ იყო ის კონკრეტულად, მოგვიანებით ვიტყვი, ჯერ კი იმის შეტყობინებით შემოვიფარგლები, რომ 1953 წლის დასაწყისისთვის ბელადის ერთგული დამცველები გენერალი ვლასიკი და კუზმიჩოვი სტალინს მოაცილეს.

26 იანვარს ბიუროს სხდომაზე – აშკარად ბელადის მონაწილეობით – იქმნება საიდუმლო „სამეული“. ფორმალურად ეს იგივე სპეცკომიტეტია წმინდა „ტექნოკრატიული“ მიზნებით, მაგრამ ფაქტობრივად „სამეული“ თავიდანვე გამოიყურება რაღაც პოლიტიკურ სუპერორგანოდ, რომელსაც მყისვე ძალუძს, რომ იქცეს ხელმძღვანელ ტრიუმვირატად სტალინის უზენაესობით.

ბერია – ეს გახლავთ შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო და სახალხო მეურნეობა.

მალენკოვი – პარტიული აპარატი და პროპაგანდა.

ბულგანინი – შეიარაღებული ძალები.

ფაქტობრივად „სამეული“ ჩაენაცვლა ხელმძღვანელ „ხუთეულს“, მოისროლა რა ხრუშჩოვი ნდობით აღჭურვილი ხელმძღვანელობიდან. ამასთან „სამეულის“ თავმჯდომარე გახლავთ ბერია; და ის არა უბრალოდ ფორმალურადაა პირველი, იმ სამიდან ის არის ერთადერთი საქმისა და მოქმედებების კაცი სწრაფი რეაქციით; და ყოველივე ეს გვიქადის რაღაც კარდინალურ ცვლილებებს და სრულიადაც არა თავდაცვით პროექტებში სამუშაოთა მსვლელობისას.

თარგმნა
**თამაზ ებანოიძე**

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. სრ. № 138-145**

№146. ხუთშაბათი, 2 აგვისტო, 2012 წელი.

ოლიმპიადა 2012

# ქართველები ლონდონში

### ძიუდო

**დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას განსაკუთრებით ევროპის ჩემპიონის, კონტინენტის პირველობების ორგზის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორის ვარლამ ლიპარტელიანის ეიმედებოდა.** ქართველ ძიუდოისტს წილისყრამაც გაუმართლა – პირველ ორ ტურში საკმაოდ სუსტი მეტოქეები არგუნა. სამწუხაროდ, ლიპარტელიანმა სტარტზევე ულიმღამოდ იჭიდა-



ვა – კამერუნელ დიედონე დოლასენს ვერც ერთი ილეთი ვერ ჩაუტარა და მხოლოდ მეტოქის გაფრთხილებებით გავიდა ფონს. გვეგონა, მეორე წრეში იოლად დაძლევდა ავსტრალიელი მარკ ენტონის წინააღმდეგობას. თავიდან იუკოც აილო, მაგრამ შემდეგ საკუთარ ილეთზე წამოეგო და ვაზარით დამარცხდა. ახალი წესებით, მედლებისთვის მებრძოლთა რიგებსაც გამოაკლდა.

### ჩოგბურთი

**22 წლის ანა ტატიშვილმა უიმბლდონის კორტებზე მხოლოდ პირველი წრე გაიარა ერთეულთა თანრიგში. სტარტზე ლიხტენშტეინელ ჩოგბურთელს სძლია. მეორეში მსოფლიო რეიტინგით მე-19 ადგილზე მყოფი რუსი ნადია პეტროვა უწევდა მეტოქეობას.** პირველი სეტი ჩვენმა ჩრდილოელმა მეტოქემ 6:3 მოიგო. მეორეში ჩვენებურმა იძალა – 7:6 (ტაიბრეი-



კებში 7:5ძ მესამე ხელი ისევ რუსისა იყო – 6:2 და მომდევნო ეტაპზეც ის გავიდა.

### ტყვიის სროლა

**პნევმატური პისტოლეტით წარუმატებელი პაექრობის შემდეგ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ გუშინ სპორტული პისტოლეტით უკეთ იასპარეზა, თუმცა საწადელს მაინც ვერ მიაღწია:** ექვსი სერიის შემდეგ მან 581 ქულას მოუყარა თავი, რაც მხოლოდ მე-15 ადგილისთვის (39 მონაწილეს შორისძ ეყო. ფინალურ რვა საუკეთესოში მოსახვედრად მას 3 ქულა დააკლდა.



* * *

**დღეს ლონდონის ოლიმპიურ სარბიელზე მხოლოდ ერთი მონაწილე გვეყოლება: ძიუდოისტთა 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის ორგზის ვერცხლის პრიზიორი ლომერ ჟორჟოლიანი იჭიდავებს.**

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

# უკანასკნელი იმედი

**დღეს ევროპის ლიგის მორიგი საკვალიფიკაციო რაუნდის პირველ შეხვედრას გორის „დილა“ ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე კვიპროსის ქალაქ ფამაგუსტას „ანორთოსისთან“ გამართავს.**

**მოგეხსენებათ, „ზესტაფონის“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და რუსთავის „მეტალურგის“ წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ თემურ შალამბერიძის გუნდი წლევანდელ ევროტურნირებში საქართველოს უკანასკნელი წარმომადგენელია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მას კუნძულელთა სახით ღირსეული მეტოქე შეხვდა.**

როცა სტუმრებზე ვსაუბრობთ, სათანადო პატივი უნდა მივაგოთ თემურ ქეცბაიას, რომლის სახელსაც უკავშირდება ერთ დროს არაფრით გამორჩეული კლუბის სამშობლოში დაწინაურება და საერთაშორისო სარბიელზე ყველასათვის ანგარიშგასაწევ ძალად ქცევა.



ქართულ თემას ახლახან მომხდარი ფაქტით ამოვწურავთ: რამდენიმე კვირის წინათ „ანორთოსისის“ სპორტული დირექტორის პოსტი გიორგი ქინქლაძემ დატოვა და სწორედ ამის შემდეგ დაძლიეს ფამაგუსტელებმა წინა ეტაპზე ესტონური „ლევადიას“ წინაღობა.

რაც შეეხება მასპინძლებს, მათ დამატებით პრობლემებს დისკვალიფიცირებული ვაწაძისა და შაშიაშვილის არყოფნა შეუქმნით, მაგრამ, ვიმედოვნებთ მათი შემცვლელები უმტკივნეულოდ ჩაეწერებიან შიდაქართლელთა ანსამბლში.

დავძენთ, რომ დღევანდელ თამაშს ნორვეგიელ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება 37 წლის კიმანრი იონსენის თავკაცობით.

**ვიტალი ჯაფარიძე**

კალათბურთი

# წაგებებითაც სწავლობენ

**ესტონეთის დედაქალაქში დასრულებული ოთხთა საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ნაკრებს ნამდვილად არ ჩაეთვლება აქტივში.**

**გარდა იმისა, რომ იგორ კოკოშკოვის გუნდმა სამიდან ორი მატჩი წააგო და მესამე ადგილი დაიკავა, დამაფიქრებლად გვეჩვენება**



**„ჯვაროსანთა“ არაოპტიმალური ფუნქციონალური მზადყოფნა, რამაც თავი განსაკუთრებით ჩეხებთან დასკვნით შეხვედრაში იჩინა – 68:79.**

შეგახსენებთ, რომ წინა დღით ჩვენმა თანამემამულეებმა მარათონული ბრძოლა გადაიტანეს ამერიკის კოლეჯების ნაკრებთან, რომელიც მეორე ოვერტაიმში დათმეს. სავარაუდოდ, მათი დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ის გახლავთ, რომ ძალების აღდგენა ვერ მოასწრეს და კარგად დაწყებული საქმე (22:14 პირველი პერიოდის შემდეგძ სასურველ შედეგამდე ვერ მიიყვანეს.

კიდევ ერთი ფაქტი, რაც გაოცებას იწვევს, ისაა, რომ შეგირდთა დაღლილობის ფონზე მწვრთნელებმა დებიუტის საშუალება არ მისცეს ლეჟავას და ბექაურს. საკითხავია, თუ არ ენდობოდნენ, რაღა აზრი ჰქონდა ტალინში მათ ტურისტებად წაყვანას?

**ქართველთა პირადი მონაგარი:** მარკოიშვილი – 14, შენგელია – 12 ქულა, 11 მოხსნა, მეტრეველი – 12, პულენი – 12, სანიკიძე – 7 ქულა, 11 მოხსნა, ცინცაძე – 6, შერმადინი – 4, მათიაშვილი – 1 ქულა. ითამაშეს აგრეთვე ფაცაციამ და ბოისამ.

**გიორგი შოთაძე**

ნარდი

# სამი საგზური ჟურნალისტებს

**გუშინ ჩაქვში დაიწყო სამეგრელოს რეგიონში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“, საქინფორმისა და საქართველოს ტელევიზიის ყოფილი კორესპონდენტის – გიგა ბუკიას მე-6 საერთაშორისო მემორიალი ნარდში, რომელსაც საფუძველი საერთაშორისო ფონდ „ხობის“ პრეზიდენტმა გოდერძი ბუკიამ ჩაუყარა.** წლეულსაც მრავალი სტუმარი ეწვია მონარდეთა ტურნირს. მასპინძელთა შორის ჩვენი კოლეგები – ჟურნალისტებიც არიან. ეს ცნობილი გახდა საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ აღმასრულებელი დირექტორის მარინე მიქაძისა და თამუნა ჯინჭარაძის ორგანიზებით გამართული შეჯიბრების (მთავარი მსაჯი – მსოფლიოს ჩემპიონი ომარ დვალიძ შემდეგ. საერთაშორისო ტურნირის სამი საგზურისთვის „ვარსკვლავთა კლუბში“ 6 ტელეარხის 30 ჟურნალისტი და ოპერატორი იბრძოდა. ქალთა ფინალში ცირა ლაბაურმა (ტელეკომპანია „პიკი“ძ 5:3 აჯობა ნუცა ქავთარაძეს („რუსთავი-2“ძ და საერთაშორისო ტურნირის საგზური მოიპოვა.





ვაჟებში მსგავს წარმატებას ირაკლი ბრეგვაძემ (I არხიძ და ზურაბ მჭედლიშვილმა („იმედი“ძ მიაღწიეს. ბრეგვაძემ ნახევარფინალში გიორგი მაისურაძეს („რუსთავი-2“ძ სძლია 5:4, მჭედლიშვილმა კი ზურაბ მანაგაძეს („რუსთავი-2“ძ მოუგო მშრალი ანგარიშით – 5:0. ფინალში ბრეგვაძემ მჭედლიშვილი 7:1 დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა.

დაჯილდოებისას ორგანიზატორებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ ეს შეჯიბრება ტრადიციული და უფრო მასშტაბური გახდება.

**ვაჟა დანელია**

**სურათებზე:** ვაჟთა ფინალი; დაჯილდოების მომენტი.

**ავტორის ფოტო.**

იუბილე

# ლავრენტი (ჯუგული) ძიძიგური – 75

ფეხბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს, ალბათ, ახსოვთ ტყიბულის „მეშახტისა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ მეკარე ლავრენტი, იგივე ჯუგული ძიძიგური. სპორტული კარიერა მძლეოსნობით დაიწყო. საქართველოს სპარტაკიადაზე 100 და 200 მეტრზე საპრიზო ადგილები დაიკავა. მერე ტყავის ბურთმა გადაძალა და 35-ე საფეხბურთო სკოლაში სწავლობდა. 1967 წელს სკანდინავიაში ფოთის „კოლხეთთან“ ერთად ამხანაგური მატჩებისას მაყურებლებმა შავი ავაზა შეარქვეს. კარიერის განმავლობაში მრავალი თერთმეტმეტრიანი დარტყმა მოუგერიებია, ორი პენალტი ჟალგირისელ რომუალდას იუშკას აუღო. მიხეილ იაკუშინმა ტაშკენტის „პახტაკორში“ მიიწვია, მაგრამ ბატონი ლავრენტი მშობლიურ „მეშახტეს“ ვერ შეელია. დიდ სპორტთან განშორების შემდეგ სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე იმუშავა.



**ბატონი ლავრენტი ძიძიგურს დღეს 75 წელი უსრულდება. მეგობრები და ქომაგები იუბილეს ვულოცავთ.**

**ამ გულითად მილოცვას სიამოვნებით უერთდება „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაც.**



◉ სიცოცხლე – გულში

# თაობა, რომელმაც ქვეყანა ააშენა



## იყო ასეთი ჯგუფი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

**დიახ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ახლანდელი ტექნიკური უნივერსიტეტის) სამშენებლო ფაკულტეტზე, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის განხრით, იყო 183-ე ჯგუფი, რომლის სპეციალისტთა გამოშვება მოხდა 1954 წელს, ანუ ამ ჯგუფის წევრები გამოშვების 60 წლისთავს იზეიმებენ 2014 წელს.**

ჯგუფის ქებას არ შევუდგები; ყველას თავისი ჯგუფი უყვარს და ყველას კეთილი მოგონებები აქვს სტუდენტურ წლებზე, მხოლოდ დავსძენ, რომ (მაინც ქების შეპარებას ვცდილობ) ჯგუფი საკმაოდ ძლიერი იყო, მისი წევრები კი არაჩვეულებრივად მეგობრული, ურთიერთპატივისცემასა და დახმარებაში მზადყოფნით გამორჩეული. როდესაც დახმარებას ვახსენებ, აკადემიურ სფეროს გარდა, ცალკეული ჯგუფელის მიმართ, საჭიროების შემთხვევაში, ეკონომიკურ საკითხებში ჩარევასაც ვგულისხმობ. ერთი სიტყვით, ჯგუფი იყო ზრდილი, გონებაგახსნილი, პროგრესული და სიცოცხლისუნარიან ახალგაზრდათა მონოლითური ნაკრები, თითქოს ვინმეს საგანგებოდ შეერჩიოს და დაეკომპლექტებინოს.

ყოველივე ამ ნათქვამს არ აკლდა ისეთი ღირსეული პიროვნებების მხარდაჭერა, როგორებიც იყვნენ: არჩილ ქომეთიანი, გიორგი ზარიძე, ალექსანდრე კაკუშაძე, დომენტი მშვენიერაძე, ალექსანდრე რაზმაძე, ირაკლი ციციშვილი, რუბენ ალაბაბიანი, სოკრატ ჩარკვიანი, დიმიტრი დოლიძე, ნიკოლოზ თევზაძე, გაბრიელ ნიჟუა, დავით კერესელიძე, ჟანა კომპანიონი, პარმენ ურიდია, ელეფთერ ცერცვაძე, ბენიამინ ტოგონიძე, დიმიტრი ქათამაძე, თამარ ლაბაძე, მირონ წულეისკირი, ალექსანდრე ჯაბუა, გრიგოლ ჩხიკვაძე, გალაქტიონ ხახუბია, გოჩა ოსიძე, მარიამ ჭყონია, ბიძინა ახვლედიანი, მიხეილ ლორთქიფანიძე, მიხეილ გარაყანიძე, ვლადიმერ ცაგარელი, იური ვაჩნაძე, ვლადიმერ სოკოლოვი, ევგენი ბართაია, გიორგი ლვამიჩავა, ქეთევან ქუთათელაძე, ლევან დოლონაძე, არჩილ იმნაძე, სერგო გუნია, იოველ ასათიანი, გიორგი ბერაძე.

ეს პიროვნებები არც არასოდეს დაიშურებდნენ კეთილ სიტყვებს ჩვენი ჯგუფის მისამართით, მაგრამ ცოცხლები აღარ არიან. სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა მათ საფლავებს, ნათელი მათ ხსოვნას.

183-ე ჯგუფის 30 კურსდამთავრებულიდან, სამწუხაროდ, დღეს მხოლოდ 12-ია ცოცხალი. ეს დიდი დანაკლისია. ჩვენი რიგები, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ დატოვა ვლადიმერ დავიდოვმა, ჯუმბერ ართილაყვამ, გივი ფავლენიშვილმა, რევაზ ბილიხოძემ, არმაზ დანელიამ, გარი თავბერიძემ, რევაზ სანიკიძემ, ჟორა ზამბახიძემ; მოგვიანებით კი ჯუმბერ წულაიამ, გრიგოლ ლომთაძემ, რადამეს შიოლაშვილმა, ლილი ერემოვამ, ჟორა ბეროძემ, ნოდარ ღლონტმა, სოლომონ მერაბიშვილმა. სულ ახლახან დატოვა ეს ქვეყანა ამურ ბახტაძემ, ოთარ კარანაძემ, ზურაბ ცხვირავაშვილმა. ეს მეგობრები ჩვენი ჯგუფის ბურჯსა და სინდისს წარმოადგენდნენ, სრულიად უცოდველნი წავიდნენ იმ ქვეყნად, მათ ხსოვნას ნათელი და პატივისცემა არ აკლია, რასაც დატოვებული ცოლ-შვილის ძალისხმევასთან ერთად ჩვენი – მეგობრების ყურადღებაც ავსებს.

დარჩენილი მეგობრებიდან, მიუხედავად მათი ხანდაზმულობისა (80 წელს გადაცილებული არიანძ, დღეისათვის ყველა დასაქმებულია. პროფესორები ინგუშ მშვენიერაძე, დიოგენ ჯაფარიძე და აგული სოხაძე ტექნიკურ უნივერსიტეტში აგრძელებენ პედაგოგიურ მოღვაწეობას, სახელგანთქმული კონსტრუქტორები გურამ მეზუკე, რევაზ მურუსიძე და გურამ ზამბახიძე ნაშენთა მდგრადობის სადარაჯოზე დგანან. ვლადიმერ არჯევანიძემ საქმიანობა სპეციალობით დაამთავრა და ახლა ვეტერან სამხედრო პირთა ინტერესების დაცვის სამსახურშია. ჯუმბერ რაზმაძე, ოთარ ჩიხლაძე და ჯიმშერ ციციშვილი კვლავ სამშენებლო წარმოების საკითხებზე განაგრძობენ მუშაობას, ალეკო ხუნდაძემ დაიწყო პროექტირების ხელშეწყობით და ამ საქმეს არ ღალატობს. თქვენი მონა-მორჩილი კი ცდილობს ქალაქმშენებლობის ზოგიერთი საკითხი მოაწესრიგოს არქიტექტურის, მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის საკითხებზე მოსახლეობის მიერ მოწოდებულ განცხადებებსა და წინადადებებზე რეაგირებით.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ჯგუფის სტუდენტთა გულთბილ ურთიერთდამოკიდებულებას დასაწყისიდანვე ჩაეყარა საფუძველი. 30 სტუდენტიდან მხოლოდ 10 ვიყავით რაიონებიდან ჩამოსული და, ალბათ, ამ შეფარდებამაც განაპირობა თბილისელ მეგობართა ოჯახებიდან ყურადღება და თანადგომა რომ არ გვაკლდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა და არ მაქვს უფლება არ მოვიგონო ინგუშ მშვენიერაძის, არმაზ დანელიას, გურამ მეზუკის, ამურ ბახტაძის, გარი თავბერიძის, ნოდარ ღლონტის, აგული სოხაძის ოჯახები.

მიუხედავად გართულებული ცხოვრებისა, ახლაც ვახერხებთ ურთიერთკავშირს. ერთად ვართ ჭირსა თუ ლხინში, ვცდილობთ, ყურადღება არ მოვაკლოთ გარდაცვლილ მეგობართა ოჯახებს, ვზრუნავთ, რომ ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ საქართველოს აღორძინების საქმეში, ჩვენი ოცნებაა ჩვენმა და თქვენმა შვილებმა, შვილიშვილებმა და შვილთაშვილებმა, მთელმა ქართველმა ხალხმა და ქართველთა ერთგულმა სხვა ხალხებმა იცხოვრონ ბედნიერ საქართველოში.

ღმერთმა აღასრულოს ჩვენი ოცნება. ეს ხომ მთელი ჩვენი ქვეყნის ბედნიერება იქნება.

**რევაზ ტყემალაძე,**
**საქართველოს დამსახურებული მშენებელი, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.**

◉ წკეპლიკა

# მომიყვანდეთ, შემაჯენდეთ...

**ამბავი, რომელიც რამდენიმე სტრიქონის შემდეგ წაიკითხავთ, ერთმა სერიოზულმა კაცმა მიამბო, ჭორიკანა რომ არასგზის არ ეთქმის; მით უფრო, რომ თავი ერთგვარად დაიზღვია: არ ვიცი, მართლა ასე იყო თუ არა, მაგრამ მითხრეს კიო...**

არადა, ეგ მონათხრობი, მე თუ მკითხავთ, ნამდვილსა ჰგავს – მთავარი მოქმედი პირი შეიცნობა საქციელით, ხუშტურიანობით, თავში ძალაუფლების ავარდნით, იმავ თავში ქარებით, ავხორცული ოფოფებით... მოკლედ სათქმელად – საერთო „ხელწერით“...

მოგეხსენებათ ერთი მაღალი, მაღალი ხელისუფალი ბოლო ხანს, ცნობილი მოვლენებისა გამო, ზედიზედ ჩავიდა კახეთში; ჰოდა, ერთ-ერთი საშინაო ვოიაჟისას, როცა обход-ი მოუმთავრებია (მოსახლეობის მოკითხვით, გამხნევებით, დაპირებებით, დატრაბახებით, სკანდირების მოსმენით...ძ, როგორც „წესი და რიგია“, რესტორნისათვის მიუკითხავს ამალითურთ და, როგორც სჩვევია, გვარიანადაც გამომთვრალა. მომსახურეთა შორის ერთი შესახედავი, თვალადი გოგონაც ყოფილა და, მისდა სავალალოდ, მოსვლია კიდევაც თვალში ამ ულვინოდაც გიჟსა და სასმელისგან უფრორეც გაგიჟებულსა; მოსვლია და უბრძანებია დაცვისათვის – ჩემს აქაურ რეზიდენციაში მომგვარეთო („მომიტანდე, შემასმევდე“...ძ.

შეიცხადა თურმე მთელმა ადგილობრივმა (სარესტორნოძ პერსონალმა, დაუჩოქა და ხვეწნა დაუწყო დაცვასა – ერთი ობოლი გოგოა, ჩვენ შევიფარეთ, გავზარდეთ, ვპატრონობთ და გვიპატიეთ, ნუ იქმთ ამ საქმესა ავსაო... ჩაფარცხულა დიდის გაჭირვებით, ძლივა-ძლივას, ჭრიალ-ჭრიალით, სიტუაცია...

ჭორი თუა, აგე, ჭორმაც არ დამალა თავი, მაგრამ მე „შემდგარი“ ჭორი მგონია...

...ხოლო მერმისში, სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში ჩვენში მემუარული ლიტერატურის მოზღვავებას ველოდები და ეგ ზღვა ერთი გრძელი სახელ-გვარის ირგვლივ იშხუილებს. არაერთ ისტორიას მოგვიყვებიან, ზოგს სისხლიანსაც, ზოგს უსისხლოსაც, შიგადაშიგ ავხორცულ თავგადასავლებსაც.

რაოდენობრიობა ხომ თვისებრიობაშიც გადადის ხოლმე და როგორ დავიჯერო, მრავალრიცხოვანი დაცვიდან ერთი კალმოსანი მაინც არ გამოჩნდება. იმის ნაკალმარი, ალბათ, განსაკუთრებით საგულისყურო იქნება და ეგების ზემოთ მონათხრობი კახური ეპიზოდიც მოიცვას. Поживём, увидим...

**ბერდია ბედოიძე**

**თემურ კუჭუხიძე, ზაურ ფხალაძე, როლანდ გაბრიჩიძე, ამირან ნიკოლეიშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ თენგიზ ქავთარაძის და ქეთინო კოხრეიძის ოჯახს**

**ალეკო კოხრეიძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**მეუღლე ციცო ჟღენტი, შვილები ნინო, მიშა დუგლაძეები, და მარინა დუგლაძე ოჯახით, შვილიშვილები გიგი თევზაძე, გიორგი დუგლაძე, რძლები ნინო სიმონიშვილი, თეა კიკვაძე, ზაირა ჯმუხაძე, მანანა კაჭახიძე ოჯახებით, დისწულები თინა, ნინო კილაძეები, მაკა, გიორგი, ნათია ერისთავები, ნუნუ კოპალეიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**გიორგი მიხეილის ძე დუგლაძე**

**გამოსვენება 2 VIII, 15 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◉ ალიანჩალიანი

## შატილსა და მუცოში კოშკები სავალალო მდგომარეობაშია

**როგორც ხევსურეთიდან იტყობინებიან, შატილში სარეკონსტრუქციო-აღდგენითი სამუშაოები სამ კოშკს – №43, №44 და №45 კოშკს უტარდება. სამივე კოშკზე მოწყობილია ხარაჩოები.**

**სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ფირმა „კონსტრუქტორი 2012“ ატარებს.**

**როგორც სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელმა ირაკლი ანდღულაძემ აღნიშნა, კოშკები სავალალო მდგომარეობაშია და საჭიროებს განახლებას. დასაშლელია №44 კოშკის კედელი, რომელიც 14 ივლისს ძლიერი წვიმების შედეგად შუაწელს ზემოთ სანახევროდ არის ჩამოშლილი.**

**მისივე თქმით, თავად სამშენებლო პროცესს ერთ კვირაში, მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ დაიწყებენ. თუმცა, ანდღულაძე ეჭვობს, რომ სამივე კოშკის აღდგენას სექტემბრის შუა რიცხვებისთვის ვერ დაასრულებენ, როგორც ეს იყო დაგეგმილი. მისი ვარაუდით, აღნიშნული პერიოდისთვის მხოლოდ №43 კოშკი იქნება აღდგენილი. კოშკზე სამუშაოების შეუფერხებელი განხორციელება ამინდზეც იქნება დამოკიდებული.**

**№43, №44 და №45 კოშკების გარდა, რამდენიმე კოშკი სრულიად დანგრეულია ან - ნაწილობრივ დაშლილი.**



**ქართული სამშენებლო ხელოვნების უნიკალური ძეგლი – შატილი ბევრ ტურისტს იზიდავს. აღსანიშნავია, რომ 4 აგვისტოს შატილობა აღინიშნება.**

**შატილიდან 11 კილომეტრში არის მუცო, რომელიც ერთგვარი ციხესიმაგრე იყო. მისი მდგომარეობა გაცილებით მძიმეა, ვიდრე შატილის კოშკების. მუცოში საცხოვრებელ ნაგებობას სახურავი, ფაქტობრივად, აღარ გააჩნია და კოშკები იშლება.**

## რუსულ-აფხაზურ საზღვართან ბავშვის გარდაცვალებას უარყოფენ

**აფხაზური მხარე ფსოუს ე.წ. რუსულ აფხაზურ საზღვართან რიგში, ძლიერი სიცხის გამო, ბავშვის გარდაცვალების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს. აფხაზური მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ აფხაზეთის ე.წ. სასაზღვრო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ზურაბ მარღანიამ განაცხადა.**

**მისივე განმარტებით, სინამდვილეს არ შეესაბამება არც ის ინფორმაცია, თითქოს რუსეთის მოქალაქეებს აფხაზეთში შესვლისთვის რიგში დგომა უწევთ.**

**– რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე არსებულ გამშვებ პუნქტებზე ვითარება სტაბილურია. მიუხედავად იმისა, რომ ტურისტების რაოდენობა არ იკლებს, ხალხი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შემოდის, – განაცხადა მარღანიამ.**

**რუსული მედია წერდა, რომ 6 წლის ბიჭი გაგრიდან სოჭში სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. გავრცელებული ინფორმაციით, ბავშვი ე.წ. საზღვართან რიგში ყოფნის დროს შეუძლოდ გახდა. იმის გამო, რომ ადგილზე სასწრაფო დახმარების ბრიგადა დროულად ვერ მივიდა, ბავშვი გარდაიცვალა.**

ინტერპრესნიუსი

## დაიჯესტი

### მუსიკა და... ფსიქოთერაპია



**მუსიკის სამკურნალო ველი საკმაოდ ვრცელია: ორთოპედიულ ფიზკულტურაში წარმატებით იყენებენ მკაფიო საცეკვაო რიტმებს, ქირურგიასა და სტომატოლოგიაში გამაყუჩებლის ფუნქციას ასრულებენ მელოდიური პიესები, სხვადასხვა მუსიკალურ ხერხებს წარმატებით იყენებენ საბავშვო კლინიკებში სმენის, მეტყველებისა და მოტორიკის დეფექტების გამოსასწორებლად... ამ მხრივ მეტად საგულისხმოა მუსიკის გამოყენება ფსიქიატრიაში, ზოგადად ფსიქოთერაპიაში.**

მაგალითად, ფრანგი ფსიქიატრები მუსიკის ჩანაწერებს ფსიქოთერაპიულ მონტაჟებში რთავენ, რომლებშიც სიტყვიერ შეგონებებს მუსიკალური ეპიზოდები ენაცვლებიან. ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილია მუსიკოთერაპევტების ეროვნული ასოციაცია – მისი ეგიდით ადგენენ მუსიკის სამკურნალო კატალოგებს, ასე ვთქვათ, მუსიკალურ ფარმაკოპეას.

აღსანიშნავია, რომ **ამ საქმის პიონერი თომას ალვა ედისონი იყო,** რომელმაც ერთხელ, მოცლილობის ჟამს, მცოდნე მუსიკოსთა დახმარებით, 589 მუსიკალური ჩანაწერის კლასიფიკაცირება მოახდინა. შე**არჩიეს 112 პიესა, რომლებსაც, ექსპერტთა აზრით, მსმენელთა ემოციური განწყობის შეცვლა შეეძლო. 15 პიესა რეკომენდებული იყო წარმოსახვის სასტიმულაციოდ, 14 – სიმშვიდის გრძნობის აღსაძვრელად, 10 – სასიამოვნო სიმხიარულის გასაღვივებლად, 10- მეგობრობის გრძნობის გასაძლიერებლად, 11 – სიყვარულისთვის, 9 – ენერგიის მოსაზღვავებლად, 8 – სევდის მოსაგვრელად, 12 – სასიამოვნო მოგონებათა აღსადგენად, 13 – ერთგულების გრძნობის აღსაძვრელად, 16 – ბავშვური ცელქობის აღსაკვეთად...**

### სიცილის სკოლები

**ცნობილმა იტალიელმა ტენორმა ფლამინგომ 1909 წელს მეტად ორიგინალური სკოლა დააარსა, რომელშიც სურდა ადამიანებისთვის... სიცილის უნარი შეესწავლა! სასწავლო კურსი ათი სეანსისგან შედგებოდა, ხოლო მსურველებს თვლა არ ჰქონდა.**

გარდა ამისა, ზედმეტად სერიოზული ხალხისთვის მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი სკოლა დიდი ხანია, ბერლინში მოქმედებს. იქ პროფესიონალი პედაგოგები გერმანელებს სიცილის ხელოვნებას ასწავლიან. მათი მთავარი ამოცანაა სტუდენტებისთვის სანდო მანერით სიცილის სწავლება, რადგან სიცილის ეს სახეობა ყველაზე მორიდებულად და სიმპათიის გამომწვევადაა მიჩნეული.



გერმანიაში ასევე ცნობილია მიუნხენის სკოლა, სადაც მსურველებს სიცილის დახმარებით საკუთარ თავთანაც და ხალხშიც თავის უფრო კომფორტულად გრძნობას ასწავლიან. მისი დამაარსებელი კრისტოფ ემელმანი აცხადებს, რომ სხეულის, სულისა და გონების ერთიანად ჰარმონიაში მოსაყვანად სიცილი საუცხოო საშუალებაა, რომელიც ასევე სუნთქვის საუკეთესო ვარჯიშებაა. მათთვის კი, ვისაც მიუნხენში გაკვეთილებზე დასწრება მიზეზთა გამო არ შეუძლია, ემელმანმა სავარჯიშოების წიგნი დაწერა, რომელსაც გადამდები სიცილის 60-წუთიანი ჩანაწერის დისკო ახლავს.

### მოულოდნელი სიკვდილი

**ჰოლივუდის ვარსკვლავის სილვესტერ სტალონეს 36 წლის ვაჟიშვილის სიეჯის ცხედარი გარდაცვალებიდან მხოლოდ რამდენიმე დღეში ნახეს.**

მანამდე დედამისი, სტალონეს პირველი ცოლი საშა ზაკი, რომელსაც მსახიობი 1985 წელს 11 წლის ქორწინების შემდეგ გაეყარა და რომელთანაც კიდევ ერთი ვაჟიშვილი, 32 წლის აუტიზმით დაავადებული სერჯო ჰყავს, შვილთან ტელეფონით დაკავშირებას რამდენიმე დღის მანძილზე ამაოდ ცდილობდა. როცა პოლიცია სეიჯ სტალონეს ბინაში შევიდა, იქ საშინელი სიბინძურე დახვდა, თვითონ კი, როგორც ჩანს, რამდენიმე დღის გარდაცვლილი იყო.



მსახიობის პრესმდივნის განცხადებით, სილვესტერი გაოგნებული და სასოწარკვეთილია შვილის მოულოდნელი სიკვდილით, ამასთან გულით თანაუგრძნობს დედამისს.

გავრცელებული ინფორმაციით, სეიჯ სტალონე არც ნარკოტიკებს ეტანებოდა, არც ალკოჰოლს. სიკვდილის სავარაუდო მიზეზად კი რეცეპტებით გაყიდული ზოგიერთი სამკურნალო პრეპარატის მიღებას ასახელებენ.

### კუნძულები მოხაზულობას იცვლიან

**იაპონელი მეცნიერის კუნეი რიკიტაკეს სეისმური გაზომვებით დადგინდა, რომ იაპონიის კუნძულები ძლიერ შეკუმშვას განიცდიან ტექტონიკური ძალების გამო, რომლებიც აღმოსავლეთიდან დასავლეთითაა მიმართული.** ზუსტმა გაზომვებმა ცხადყო, რომ კუნძული ჰონსიუ სიგანეში წელიწადში რამდენიმე სანტიმეტრით იკუმშება, ამავდროულად კი მერიდიანის მიმართულებით რამდენიმე სანტიმეტრით იზრდება. ბატონ რიკიტაკეს აზრით, ეს ცვლილებები გეოსინკლინური ნაოჭების უბნებში ტექტონიკური ძვრებითაა გამოწვეული, რომლებიც მიწისძვრებს უკავშირდება.



### სიყვარულის ქიმია

**დიდი სიყვარული არ შეიძლება ორ წელზე მეტ ხანს გაგრძელდეს, – განაცხადეს იტალიის ქალაქ პიზის უნივერსიტეტის მეცნიერებმა, რისი მიზეზი ისაა, რომ გარკვეული სახეობის პროტეინები – ნეიროტროფინები, რომლებიც შეყვარებულობის მაღალ დონეს განაპირობებენ, ორგანიზმში ზუსტად ამ ხნის მანძილზე ნარჩუნდებიან.** თუმცა მათი დონის შემცირება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სატრფოს თავს ვანებებთ და ახლის ძებნას ვიწყებთ. მას შემდგომ, რაც გრძნობის სიმძაფრე ნელდება, ორგანიზმში ოქსიტოცინის დონე დაბლა იწევს, რომელიც ხელს უწყობს ახალ ურთიერთობებთან შემგუებლობას და მწარე იმედგაცრუებას თავიდან გვაცილებს.

მათ კი, ვისაც არ სჯერა, რომ მათ გრძნობებს ქიმიური ნივთიერებები განაგებენ, მეცნიერები უმტკიცებენ: დიახაც, ჭეშმარიტი სიყვარული ნამდვილად არსებობს!

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალ-გაზეთებიდან



### ხელისუფლება ბათუმში ეპიდემიის ნიშნებს მალავს

ბათუმისა და ადლიის სანაპიროებზე ბანაობა ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშია. აღნიშნულ ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოლოგიური სამართლის ცენტრი" ავრცელებს და იქვე დასძენს, რომ შავ ზღვაში ამიაკის, ნიტრატისა და ამონიუმის ნორმა დასაშვებზე მეტია, რამაც, შესაძლოა, ადამიანებში ვირუსული „ა ჰეპატიტი" და სხვა ინფექციური დაავადებები გამოიწვიოს. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ზღვა იმდენად დაბინძურებულია, რომ შეუძლებელია წყალში შესვლა და ბანაობა. შარშანაც შეინიშნებოდა, მაგრამ წლეულს უკვე მასიური ხასიათი ჰქონდა ზღვის ზედაპირზე ფეკალური მასების ტივტივს.

„რეზონანსი ".

### „წამხდარ ყანას ჰგავს დღეს გურია"

– ამბობს ცნობილი მომღერალი და ჟურნალისტი, ჩოხატაურში „ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თემურ ჭკუასელი, – ერთ-ერთ ნიჭიერ ხალხს, გურულებს, ისე შეუტია ხელისუფლებამ, როგორც ავმა ქარმა და შეეცადა მათთვის ღირსების აყრას... სტუმრის მიღება ყველაზე მეტად რომ უყვარდათ, სტუმრის მიღებაც არ შეუძლიათ...

„ჩემი უახლოესი მეგობრების შვილები მსახურობენ პოლიციაში. ერთ-ერთს პირდაპირ მოსთხოვეს, ან მამათქვენი თავის მეგობარს ჩამოსცილდეს, ან ახლავე დატოვე სამსახურიო. მამას ამას როგორ ვაკადრებ და ახლავე წავალო. თავი დაანებეს, ალბათ, მიხვდნენ, რომ თუ ასე გააგრძელებდნენ, ძალიან ბევრის დათხოვნა მოუწევდათ".

„საქართველო და მსოფლიო".

### რა სქემით და ვის დაჭერას აპირებენ არჩევნებამდე „ნაციონალები"

ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის" წევრი, პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე კორესპონდენტს უამბობს:

„ყველას, ვისაც რაიმე ხარვეზი აქვს, აღრიცხვაზეა აყვანილი და ამ მინუსებიდან გამომდინარე, მათი დაშანტაჟება იწყება – ზოგს აკავებენ, ზოგს ნარკოტიკს უდებენ... პირველ რიგში ხელისუფლება პოლიტიკურად აქტიური ლიდერების განეიტრალებას შეეცდება. სხვათა შორის, კალაძის ანგარიშების დაყადაღება მასზე ფსიქოლოგიური და მორალური ზეწოლის პირდაპირი მცდელობაა. საპატიმროებში არსებული მდგომარეობა კი ხელისუფლებას იმის საშუალებას აძლევს, რომ ისევ დაიწყოს ძველი სქემით მუშაობა – პრობაციონერებისა და მათი ოჯახის წევრების ხმები მიიღოს. ამასთან, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საჯარო მოსამსახურეებზე – ყველა საჯარო მოხელეს უშუალო ხელმძღვანელისგან დავალებული აქვს, რომ მხარდამჭერთა 5 და 10-კაციანი სია წარუდგინოს, სადაც ამ მხარდამჭერთა პირადი მონაცემები იქნება შეტანილი.

„ქართული სიტყვა".

### ამომრჩეველთა სიებში 25949 მიცვალებული აღმოჩნდა

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიამ გუშინ „კარდაკარის" საბოლოო შედეგების პრეზენტაცია გამართა. როგორც კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე აცხადებს, „კარდაკარის" პრინციპით შემოწმებისას გარდაცვლილი აღმოჩნდა 25949 ამომრჩეველი, საზღვარგარეთ იმყოფება 29187 ამომრჩეველი და ა. შ. ვფიქრობთ, ჩატარებული სამუშაოები ერთხელ და სამუდამოდ წერტილს უსვამს ნებისმიერი სპეკულაციას იმის შესახებ, თუ რამდენად ზუსტია საარჩევნო სიები საქართველოში, – ამბობს მ. კაციტაძე.

„ახალი თაობა"

## ორწყობილა

*მიამიტ ბავშვებს „მიშა", „მიშა" სანამ ვაყვიროთ?..*
*ეს უკვე გახდა სასაცილო და... საშაყირო!..*

რამაზ ილმელი

## კადრი



## ანეკდოტები

**მამაკაცი მეტროში თვალებით ჭამს ლამაზ ქალს.**

**– რას მომშტერებიხართ, საკმარისია უკვე, თქვენ ხომ მზერით მხდით ტანსაცმელს! – მოთმინებიდან გამოდის ქალი.**

**– რას ამბობთ, ქალბატონო, რას ამბობთ, გხდით კი არა, თქვენ უკვე იცვამთ, მე კი ვეწევი...**

* * *

**წუხელ მივხვდი, რომ ვიღაცას ვჭირდები.**

**კოღოებს ვჭირდები...**



* * *

**– იცი, რას გეტყვი? შენი აზრი ერთ ადგილას შეიტენე!**

**– არ შემიძლია: იქ ჩემი ეკონომისტის დიპლომი და ლამაზ მომავალზე ოცნებებია...**

* * *

**ქალი მამაკაცს მაღაზიებში მხოლოდ ერთი მიზნით დაატარებს საათობით – იქამდე აუვსოს მას მოთმინების ფიალა, რომ იგი მზად იყოს ყველაფრის ნებისმიერ ფასად შესაძენად, ოღონდ კი ყველაფერი ეს დამთავრდეს.**

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
რუსლან რუსია
299-62-77;
599 17-21-21

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24